ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 11 სექტემბერი, 2020 №192 (8456) ფასი: 60 თეთრი

## „სიცოცხლით სავსე მივიდა ჩემი გოგო კლინიკაში და მკვდარი წამოვიყვანეთ“



გვ.5

# „ვინმეს თუ სჯერა, რომ „ოცნებას“ 55% უჭერს მხარს, სერიოზული პრობლემები აქვს“



ლევან ხაბეიშვილი: „მხოლოდ ნაციონალებს შეგვიძლია „ოცნების“ დამარცხება“

გვ.3



## ბიძინა ივანიშვილი: „საქართველო უნდა იყოს ევროპული ქვეყანა“

გვ.3

„ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო სიის პირველი ოცეული წარადგინა

## დავით ბერძენიშვილი: „კოვიდი „ოცნების“ მაშველი რგოლია. რამდენად ეყოფა ეს, ამომრჩეველი გადაწყვეტს“

„ჯანდაცვის სისტემამ 400 ადამიანის დასვენება მოაწყო კოდური სახელწოდებით „კონფერენცია ჩაქვში“



გვ.2

## თამარ ჩხეიძე: „წინასაარჩევნო კამპანია საკმაოდ უღიმღამოდ მიმდინარეობს“

„რუსეთის დავალებით ამზადებენ ნიადაგს აფხაზეთის აღიარებისათვის“



გვ.4



გვ.4

## „ნატოს სამხედრო ძალების საქართველოში გამოჩენა რუსეთისთვის სახიფათოდ აღიქმება“



გვ.2

## ანზორ ბიწაძე: „კორონას პიკი თუ ოქტომბერში იქნება, რა ბედი ელის არჩევნებს?“

„ხელისუფლებამ გადაწყვეტილება ერთპიროვნულად არ უნდა მიიღოს და შეთანხმება უნდა მოხდეს“

## „არ შეიძლება, ხელისუფლება და ბიზნესი ერთ ბალახს ძოვდნენ“



გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „სად არის ძლევამოსილი მთავრობა და მედიცინა?! ველოდები, რომ საზეიმო ვითარებაში გამოაცხადებენ – უკვე 100 დაინფიცირებული გვყავს! მერე განგაშის ზარს შემოჰკრავენ“

## ცაგერის მუნიციპალიტეტის 2 სოფელში პოლიციის სპეციალური საკონტროლო პუნქტები მოეწყო



გვ.5

ISSN 1987-9385

9 771987 938006

4 მარიამ ჯაში, ბექა ნაცვლიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი, ზვიად კვაჭანტირაძე და გედევან ფოფხაძე თვითიზოლაციაში იმყოფებიან

6 მარია კოლესნიკოვა: „თავზე ტომარა ჩამომაცვეს და მოკვლით დამემუქრნენ“

5 „არჩილ გაგნიძისადმი წარდგენილი ყველა ბრალდება ტყუილია“

6 პომპეო: „ნავალნი რუსეთის ხელისუფლებამ მოწამლა!“

# დავით ბერძენიშვილი: „კოვიდი „ოცნების“ მაშველი რგოლია. რამდენად ეყოფა ეს, ამომრჩეველი გადაწყვეტს“

## „ჯანდაცვის სისტემამ 400 ადამიანის დასვენება მოაწყო კოდური სახელწოდებით „კონფერენცია ჩაქვში“

იაგო ნაცვლიშვილი



**კორონავირუსის შემთხვევების მატების გამო ელის თუ არა არჩევნების გადადებას, რამდენად მზად შეხვდა შემოდგომას ხელისუფლება და ჯანდაცვის სექტორი, რატომ ფიქრობს, რომ ეპიდემიოლოგიურ სიტუაციას „ქართული ოცნება“ იყენებს, მიიღებს თუ არა არჩევნების გადადებაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ოპოზიცია, თუ შემთხვევები კიდევ მოიმატებს და რამდენად ჯანსაღი პროცესი მიმდინარეობს ოპოზიციაში? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი საუბრობს.**

***— კოვიდ ინფიცირებულთა რიცხვი საქართველოში ყოველდღიურად იმატებს. რას ელით ამ თვალსაზრისით და ხომ არ ფიქრობთ, რომ საჭირო გახდება არჩევნების გადადება?***

— საქართველო რთულ ვითარებას გადააწყდა, ამიტომ ამ თვალსაზრისით ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, მინუსები აქვს. საშემოდგომო მოსალოდნელ შემოტევას ის აშკარად მოუმზადებელი შეხვდა.

***— შეიზღუდა საჯარო შეხვედრები, მათ შორის ღია სივრცეებშიც, მაგრამ ეს არ ეხება პოლიტიკურ შეკრებებს და ასევე იწყება სწავლაც. თქვენ რა კითხვები გიჩნდებათ ამასთან დაკავშირებით? პოლიტიკურ აქტივობებთან დაკავშირებით ხომ არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ ეს ხდება იმიტომ, რომ „ოცნებას“ გუშინ თავად ჰქონდა შეკრება და შემდეგ, შესაძლოა, ამ საკითხსაც გადახედონ?***

— არ ვიცი, ვერ გეტყვით. არჩევნების გადადება-არგადადების საკითხი მხოლოდ „ქართული ოცნების“ სურვილებზე არ არის დამოკიდებული. თუ ევროპაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ჩვენს სამეზობლოში ისეთივე ვითარება იქნება, როგორიც საქართველოშია და ამ დროს ჩვენთან საგანგებო მდგომარეობა იქნება შემოღებული და სხვაგან — არა, მაშინ ეს, ბუნებრივია, დიდ კითხვის ნიშნებს გააჩენს. ამიტომ, მე არ ველოდები, რომ თუ არსებითად განსხვავებული ვითარება არ იქნება ჩვენთან, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში, ეს იქნება არჩევნებისთვის გამოყენებული.

მაგრამ მდგომარეობა რთულდება და სამნიშნა რიცხვამდე თუ ავიდა ყოველდღიური ახალი შემთხვევები, მაშინ ჩვენი ძალიან სუსტი ჯანდაცვის სისტემა ამას ვერ გაუძლებს. სრულიად გაუგებარი იყო 150 და 200-კაციანი წვეულებები და ა.შ. ხელისუფლებამ ცუდად იმუშავა, ძალიან ცუდად.

ხელისუფლების გარდა, თბილისის გარეთ ალაგ-ალაგ თუ შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც ტრანსპორტსა და მაღაზიებში დისტანციას იცავენ და უკეთიათ პირბადე. ეს განსაკუთრებით ხდება პატარა ქალაქებსა და სოფლებში. ასეთი რამე იშვიათად ხდება და, რა თქმა უნდა, ეს არის ხელისუფლების პასუხისმგებლობა, იმიტომ რომ, როცა მოთხოვნაა, მაშინ სრულდება კონტროლი, როცა არ არის, მაშინ ეს არ სრულდება.

***— თუ კიდევ მოიმატებს შემთხვევები და დადგება არჩევნების გადადება დღის წესრიგში, მაშინ როგორ შეხვდებით პოლიტიკური აქტორები ამ საკითხს?***

— გააჩნია, რა ვითარება იქნება და რამდენად დამაჯერებელი იქნება ხელისუფლების მცდელობა არჩევნების გადადების თაობაზე. ეს დამოკიდებულია ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე.

***— ხომ არ ხედავთ იმასაც, რომ ხელისუფლებას ხელოვნურად მიჰყავს აქეთკენ საქმე?***

— არა. ხელოვნურად ვერ მოხდება ეს და ხელოვნურად 50-ზე მეტ შემთხვევას ვერ დააფიქსირებდა გუშინ. მე არ ვარ შეთქმულების თეორიების მომხრე, მაგრამ ის, რომ ძალიან მოუმზადებლები აღმოჩნდნენ, სრულიად აშკარაა.

***— ჯანდაცვის სისტემა აღმოჩნდა მოუმზადებელი?***

— დიახ, ჯანდაცვის სისტემაც მოუმზადებელი აღმოჩნდა და მთლიანად მთელი ხელისუფლებაც. ჯანდაცვის სისტემამ 400 ადამიანის დასვენება მოაწყო კოდური სახელწოდებით „კონფერენცია ჩაქვში“. ისედაც მწირი სამედიცინო რესურსი 400 ექიმით შემცირდა.

***— სხვა პოლიტიკურ საკითხებზეც უნდა გესაუბროთ. რისი იმედი გაქვთ ოპოზიციას, მაშინ როდესაც „რუსთავი 2“-ის დაკვეთით გამოქვეყნდა კვლევა, რომლის მიხედვითაც „ქართული ოცნება“ მოდის უმრავლესობით?***

— არა. „რუსთავი 2“ ბოლო პერიოდში ისეთებს აქვეყნებს, რომ ამას არ განვიხილავ სერიოზულად და საერთოდ არ განვიხილავ კვლევად.

***— არ ხედავთ იმას, რომ ოპოზიციას სერიოზული სამუშაო გაქვთ ჩასატარებელი?***

— ეგ სხვა რამეა. სამუშაო გვაქვს ამის გარეშეც, მაგრამ შედეგები, რომლებსაც „რუსთავი 2“ აქვეყნებს, აცდენილია რეალობასაც და ყველა სხვა კვლევასაც.

***— თუმცა იმასაც ვხედავთ, რომ დაპირისპირებებია ოპოზიციაში. ამაზე რა პასუხი გაქვთ?***

— ოპოზიციაში ნორმალური ვითარებაა იმ ფონზე, რაც ყოფილა ამ 30 წლის განმავლობაში.

***— ეს დაპირისპირება ნორმალურად მიგაჩნიათ?***

— გაცილებით ნორმალურია. ბევრად მძიმე დაპირისპირებები ყოფილა და ეს არ არის დაპირისპირება.

***— მაგრამ ოპოზიციისთვის გაცილებით მძიმე შედეგებიც გვინახავს. არ ფიქრობთ, რომ ეს ამომრჩეველს კიდევ უფრო აბნევს?***

— ამომრჩეველს აქვს ძალიან ფართო არჩევანი. არის 1%-იანი ბარიერი და უამრავი პარტია. არ მოსწონს ერთი? — წავა მეორესთან და იქიდან წავა მესამესთან. ამიტომ ხელოვნურად, შესაძლოა, იყოს წარმოჩენილი ოპოზიციური დაპირისპირება. არ არის ეს დაპირისპირება. არის პროცესები და რაღაცაზე ვთანხმდებით, რაღაცაზე კი ვერ ვთანხმდებით. მე ვფიქრობ, რომ ნორმალური პროცესია ოპოზიციაში.

***— საერთაშორისო დამკვირვებლების საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს არ ვიცით, შეძლებენ თუ არა ისინი საქართველოში ჩამოსვლას. ეს რამდენად იქონიებს გავლენას არჩევნების შედეგებზე?***

— საერთოდ, ხელისუფლებისთვის კოვიდი და კოვიდით შექმნილი პრობლემები მაშველი რგოლია, მაგრამ, რამდენად ეყოფა ეს მაშველი რგოლი, ამას მაინც ამომრჩეველი წყვეტს. ჯერჯერობით ამ საკითხზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

# ანზორ ბიწაძე: „კორონას პიკი თუ ოქტომბერში იქნება, რა ბედი ელის არჩევნებს?“

## „ხელისუფლებამ გადაწყვეტილება ერთპიროვნულად არ უნდა მიიღოს და შეთანხმება უნდა მოხდეს“

იაგო ნაცვლიშვილი

**პოლიტიკური პარტია „ერთიანი საქართველო — დემოკრატიული მოძრაობა“ იდეით გამოდის, რომ საჭიროების შემთხვევაში არჩევნები გადაიდოს, ოღონდ პარტია ითხოვს, ეს გადაწყვეტილება დროულად იყოს მიღებული და ერთპიროვნულად არ გადაწყვიტოს ხელისუფლებამ. ამის თაობაზე განცხადება პარტიის ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ გუშინ გააკეთა.**

რა შემთხვევაში უნდა გადაიდოს არჩევნები, რამდენად თანმიმდევრულია კოვიდ 19-თან ბრძოლაში ხელისუფლება და რამდენად სწორია, როცა დაწესებული შეზღუდვები პოლიტიკურ აქტივობებთან დაკავშირებით არ ვრცელდება? — ამ საკითხებზე „ერთიანი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **ანზორ ბიწაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.

***— ვხედავთ, რომ ყოველდღე იმატებს კორონავირუსის შემთხვევები და პოტენციურად ჩნდება არჩევნების გადადების საფრთხე. ნინო ბურჯანაძემ თქვა, რომ საჭიროების შემთხვევაში უნდა გადაიდოს. რა შემთხვევაში ხედავთ ამის საჭიროებას, თქვენ როგორ უყურებთ ამ საკითხს?***

— მიუხედავად იმისა, რომ 70% იმისა, რაც საარჩევნო კამპანიას სჭირდება, ჩვენ ეს გაკეთებული გვაქვს და, ბუნებრივია, დამაზარალებელი იქნება ეს ჩვენთვისაც და ყველა სხვა პარტიისთვისაც. არჩევნების გადადება ძალიან დიდ სამუშაოებთან არის დაკავშირებული და დიდი სამუშაოა შესრულებული. ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ გვაქვს ლოგიკური პოზიცია. გეტყვით, რატომაც.

როდესაც გვეუბნებიან, რომ არ არის სასურველი და თავი უნდა შევიკავოთ ქორწილებისგან, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანების ამ ტიპის თავყრილობა მომეტებული რისკის მატარებელია. მეორე მხრივ, შევხედოთ არჩევნებს, რომელიც არის დიდი პოლიტიკური პროცესი, სადაც არის დიდი აქტივობა, რაც ითვალისწინებს იმას, რომ ათობით ათასი ჩვენი თანამოქალაქე ჩართულია ამ ძალიან დიდ პროცესში. არჩევნები ხომ არ არის მხოლოდ წინასაარჩევნო შეხვედრები! ეს არის ძალიან ცოცხალი პროცესი, როდესაც უამრავი ადამიანი პარტიების კონტექსტში იკრიბება, იმართება უამრავი შეხვედრა და ა.შ. მთელი საარჩევნო კამპანია არის უდიდესი პროცესი.

ერთი მხრივ, თუ საფრთხის მატარებელია ასკაციანი ქორწილი, ბუნებრივია, გაცილებით უფრო დიდი საფრთხის მატარებელია ამხელა პროცესი ათიათასობით მოქალაქის ჩართულობით. ამიტომ ჩვენ ძალიან ლოგიკური კითხვა დავსვით — რამდენად მიზანშეწონილია არჩევნების ჩატარება ან რამდენად ემუქრება საფრთხე არჩევნების გადადებას და რამდენად გარანტირებულად შეგვიძლია დღეს იმაზე ვილაპარაკოთ, რომ არჩევნები ნამდვილად ჩატარდება.

მესმის, რომ ყველა პარტიას აქვს თავისი პოლიტიკური ინტერესი. ჩვენი პარტიის ინტერესშიც შედის, რომ არ გადაიდოს, რადგანაც პარტიის თითოეულმა წარმომადგენელმა ამხელა ენერგია დახარჯა, მაგრამ, მეორე მხრივ, არის საკითხები, სადაც ნებისმიერი პოლიტიკური კონიუნქტურა გვერდზე უნდა გადაიდოს და ყველას ინტერესი საერთო უნდა იყოს.

***— პანდემიის საკითხებთან მიმართებით ხელისუფლება თანმიმდევრულია? მხედველობაში მაქვს ის, რომ, ერთი მხრივ, აკრძალეს ღია ცის ქვეშ აქტივობები, მაგრამ ეს არ ეხება პოლიტიკურ შეკრებებს. რამდენად სწორად მიგაჩნიათ ეს?***

— შეხედეთ, მათ აკრძალეს ღონისძიებები და ჩათვალეს, რომ საფრთხის მატარებელია ეს. ჩვენი პარტია იმ კვირიდან ვიწყებთ რეგიონებში შეხვედრებს. იქ გაცილებით მეტი ადამიანი იქნება, ვიდრე 200 ადამიანი, ანუ ლოგიკა სად არის? ღონისძიებაზეა დამოკიდებული თუ იმაზე, რამდენი ადამიანი შეიძლება შეიკრიბოს.

ამიტომ ხელისუფლების თანმიმდევრულობის იმედი ნამდვილად არ მაქვს. გახსოვთ, ბრიფინგი ტარდებოდა ხოლმე და აცხადებდნენ, რომ მეორე დღეს ქალაქი იკეტებოდა და ა.შ. ამიტომ ჩვენ წამოვჭერით საკითხი, რომ თუ პანდემიური სიტუაცია იქნება მძიმე და რთული, მაშინ ამაზე საუბარი უნდა დაიწყოს დროზე. სპონტანურად არ უნდა მოხდეს ამაზე გადაწყვეტილების მიღება.

***— როგორ ფიქრობთ, მსჯელობაც ხომ არ არის საჭირო პოლიტიკურ აქტორებს შორის ხელისუფლებისა და ოპოზიციის მონაწილეობით?***

— მე ვფიქრობ, ეს იმდენად დიდი და მნიშვნელოვანი პროცესია, რომ ხელისუფლებამ არ უნდა მიიღოს ერთპიროვნულად გადაწყვეტილება. აქ შეთანხმება უნდა მოხდეს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მივყვებით მარტივ ლოგიკას — თუ არ შეიძლება 150 და 200-კაციანი ქორწილი, რანაირად შეიძლება, ათიათასობით ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა იმ დიდ პროცესში, რომელსაც წინასაარჩევნო კამპანია ჰქვია და როგორ უნდა მოვახერხოთ ორგანიზება იმისათვის, რომ 2 მილიონი ადამიანი მივიდეს ხმის მისაცემად. ამაზეა ლაპარაკი. ამიტომ, უნდა ვიცოდეთ, რას ფიქრობს ხელისუფლება და რას შეიძლება ველოდოთ დარჩენილ ორ თვეში.



***— თქვენ პირადად რას ელით?***

— პირადად ჩემი აზრია, რომ ხელისუფლება მაქსიმალურად შეეცდება, არ მოხდეს არჩევნების თარიღის შეცვლა. ეს გასაგებია. მაგრამ მაშინ, როდესაც ქვეყნის მთავარი ეპიდემიოლოგი აკეთებს განცხადებას, რომ პიკი იქნება ოქტომბრის ბოლოს, ლოგიკური კითხვა ისმის — რა ხდება, ტარდება არჩევნები თუ არ ტარდება. ამიტომ, მე მგონია, რომ ეს არ არის სახუმარო თემა. ერთი მხრივ, საქმე ეხება ქვეყნის მომავალსა და საპარლამენტო არჩევნებს, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ბედი უნდა განსაზღვროს შემდეგი წლების განმავლობაში. მეორე მხრივ, საქმე ეხება ჩვენი თანამოქალაქეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ასე რომ, ვიღაცის ვიწროპარტიული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედება აბსოლუტურად მიუღებელია და უნდა მოხდეს ნორმალური განსჯა, სადაც შეჯერდება მთელი პოლიტიკური სპექტრი.

უბრალოდ, ჩვენ ვსვამთ კითხვას: თუ მთავარი ეპიდემიოლოგი ამბობს, რომ პიკი იქნება ოქტომბრის ბოლოს ან ნოემბრის დასაწყისში და ჩვენ არჩევნები გვაქვს 31 ოქტომბერს, უნდა ვიცოდეთ, რას აპირებს ხელისუფლება. თუ პიკი მართლაც ოქტომბრის ბოლოს იქნება, მაშინ ადამიანები ძალიან სწორადაც მოიქცევიან, თუ თავს შეიკავებენ ისეთ მასობრივ ღონისძიებაში მონაწილეობისაგან, როგორიც არის ხმის მიცემის პროცესი. მაშინ რანაირად ვატარებთ არჩევნებს? ასე რომ, ეს არ არის სახუმარო თემა, არ არის ის თემა, რომელზეც ხელაღებით შეიძლება ილაპარაკო და რომელზეც ცალკეულმა პოლიტიკოსებმა ვიწროპარტიული ინტერესებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედონ. ყველას აქვს თავისი ინტერესი, მაგრამ არის საქვეყნო — ყოფნა-არყოფნის საკითხები, რომლებზეც, არ შეიძლება, ხელისუფლებამ თავისი გადმოსახედიდან იმსჯელოს. უნდა მოხდეს შეთანხმება — რას ვშვრებით იმ შემთხვევაში, თუ პანდემიის ვითარება მძიმდება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**მთავარი რედაქტორი** — სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** — ლალი ასლანიშვილი
**საფინანსო სამსახური** — კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** — 599-532-690
**დირექტორი** — ზურაბ ბერიძე
**გავრცელების სამსახური** — მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბიძინა ივანიშვილი: „საქართველო უნდა იყოს ევროპული ქვეყანა“

## „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო სიის პირველი ოცეული წარადგინა

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო სიის პირველი ოცეული ცნობილია.

პარტიის სიის პირველი ნომერი და პრემიერმინისტრობის კანდიდატი გიორგი გახარია იქნება.

სიის მეორე ნომერი – პარლამენტის მოქმედი თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე.

№3 – ირაკლი კობახიძე.
№4 – იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი;
№5 – საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე;
№6 – კახა კუჭავა;
№7 – გიორგი კახიანი;
№8 – მარიამ ქვრივიშვილი;
№9 – მიხეილ სარჯველაძე;
№10 – მაია ბითაძე;
№11 – მიხეილ დაოშვილი;
№12 – გიორგი ამილახვარი;
№13 – ვიქტორ სანიკიძე;
№14 – მაკა ბოჭორიშვილი;
№15 – შალვა პაპუაშვილი;
№16 – დავით კაჭარავა;
№17 – ნიკოლოზ სამხარაძე;
№18 – გიორგი ხელაშვილი;
№19 – მარიამ ლაშხი;
№20 – ბექა დავითულიანი.

– თითოეული თქვენგანი მზადაა, ემსახუროს ხალხსა და ქვეყანას. ამ გუნდში არიან ადამიანები, რომლებმაც უკვე დაამტკიცეს, რომ ყველაზე რთულ ვითარებაშიც კი შემძლე არიან, გაუმკლავდნენ თავიანთ საქმეს, დარჩნენ იდეისა და საქმის ერთგულნი და ხალხი და ქვეყანა განსაცდელს აარიდონ.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა პარტიის საარჩევნო სიის წარდგენაზე განაცხადა.

მან მოქალაქეებს ნდობისა და მხარდაჭერისთვის კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა.

– მადლობა ყველას ნდობისთვის და მხარდაჭერისთვის, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობდი და ვგრძნობ ახლაც. მინდა იცოდეთ, რომ მე და ჩემი გუნდი ამ ნდობას ვაფასებთ და ძალიან ვუფრთხილდებით. სწორედ ეს ნდობა და მხარდაჭერა გვიმტკიცებს რწმენას, რომ ჩვენ თქვენთან ერთად წავიყვანთ ქვეყანას წინ, განვითარებისკენ და წარმატებისკენ. თითოეული ოჯახის კეთილდღეობისკენ.

„ქართულ ოცნებას“ აქვს ამის ნება და რესურსი. ამ პარტიის შექმნის იდეაც სწორედ ეს იყო და არის. საქართველო უნდა იყოს ევროპული ქვეყანა, სადაც ადამიანი და მისი ღირსება არის დაცული, ყველას შეუძლია საკუთარი შრომით ოჯახის რჩენა; სადაც სტაბილურობა და განვი-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ვინმეს თუ სჯერა, რომ „ოცნებას“ 55% უჭერს მხარს, სერიოზული პრობლემები აქვს“

## ლევან ხაბეიშვილი: „მხოლოდ ნაციონალებს შეგვიძლია „ოცნების“ დამარცხება“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი პასუხობს.**



***– ლევან, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დაკვეთით ბრიტანულმა კომპანიამ კვლევა ჩაატარა. კვლევების თანახმად, „ქართულ ოცნებას“ 55% მისცემდა ხმას, არჩევნები რომ დღეს ტარდებოდეს, ხოლო ნაციონალურ მოძრაობას – 16%. ოპოზიციის დიდი ნაწილი ამ კვლევებს უნდობლობას უცხადებს. რას იტყვით თქვენ?***

– დიდი ხანია, „რუსთავი 2“-ს არ ვუყურებ და არც მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ვიცი. არ მაინტერესებს, რას ლაპარაკობენ იმ არხზე, რომლის გენერალური დირექტორი ფაქტობრივად ბიძინა ივანიშვილია. ვინმეს თუ ჰგონია, რომ „ქართულ ოცნებას“ 55% უჭერს მხარს, მას სერიოზული პრობლემები აქვს. ეს იმ ოპერიდანაა, პირველ ტურში რომ მოიგო სალომე ზურაბიშვილმა არჩევნები.

***– თქვენთვის ეს ყველაფერი არასერიოზულია?***

– 55%-იანი მხარდაჭერა რომ აქვს „ქართულ ოცნებას“, ეს ძალიან სასაცილოა.

***– რას ემსახურებოდა ეს, საზოგადოებრივი აზრის მოსინჯვას?***

– არანაირი მოსინჯვა არ უშველით. „ქართული ოცნება“ ჩამოშლილია თავიდან ბოლომდე და ყველანაირად ცდილობენ, რამენაირად შეამაგრონ ხალხი, აჩვენონ, რომ არჩევნებს იგებენ. ადამიანებში აბსოლუტურად სხვა განწყობაა. „ქართული ოცნება“ მთლიანად ჩამოშლილია. ასევე ყველა ვხედავთ გუნდის შიგნით რღვევას. კონკრეტული ადამიანები ტოვებენ მათ რიგებს.

***– რამდენად ელოდებით სიახლეს? „ქართული ოცნება“ განახლების პირობას დებს.***

– რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება? შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ შეიცვლება. თუმცა ამ დროისთვის ვინც არის გასაჯაროებული, პრემიერ-მინისტრი თავისი მინისტრებიანად რომ არის სიაში, ეს ერთ მარტივ რამეს ნიშნავს.

***– რას?***

– იმას, რომ მათაც არ სჯერათ გამარჯვების. კონკრეტული სკამებისთვის იბრძოლებენ, რომ მერე რაღაც მანდატი ჰქონდეთ და ასე შემდეგ. მინისტრთა კაბინეტიდან სიის შევსება მარცხის აღიარებას ნიშნავს ფაქტობრივად.

მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება მათ სიაში, რადგან ერთი კონკრეტული ადამიანი მართავს თავისი კრიმინალი ფარცხალაძით, უჩა მამაცაშვილებით. ამიტომ, რა მნიშვნელობა აქვს, ეკა ბერიძე იქნება საარჩევნო სიაში თუ სოფიო კილაძე?! არანაირი სხვაობა მათ შორის, გარდა ვიზუალისა, არ იქნება.

***– ლევან, საკმაოდ იმატა ვირუსის შემთხვევებმა. რა საფრთხე შეიძლება შეექმნას წინასაარჩევნო კამპანიას?***

– ლამის ეპიდემიოლოგებად რომ მოაქვთ თავი, იმ ხალხმა დაგვიანონსა, 31 ოქტომბერს იქნება პიკიო. სასაცილოა ეს ყველაფერი. მძიმეა ამ ყველაფრის ყურება მოქალაქეებისთვის. ერთი ასეთი შეკითხვა მაქვს: დღეში 7 შემთხვევა რომ იყო, მაშინ ჩაგვკეტეს, სახლებიდან არ გამოგვიშვეს, დღეს არის 57 შემთხვევა და გარეთ გადავადგილდებით. ამას ორი პასუხი აქვს – ან მაშინ ჩაგვკეტეს ტყუილად, გააჩერეს ეკონომიკა და დაამშიეს ხალხი და დღეს რა ხდება?!

***– ვირუსის მართვა ვისწავლეთო.***

– სასაცილოა ეს ყველაფერი. რა მართვა ისწავლეს, პულტი აქვთ ხელში?! როგორც უნდათ, ისე იქცევიან, როცა უნდათ, უმატებენ, როცა უნდათ, უკლებენ.

***– რაში სჭირდებათ ამით მანიპულირება?***

– რა გითხრათ, გარკვეული მანიპულაციებია, ადამიანების დაშინება მიმდინარეობს, რომ მუდმივ შიშსა და ტერორში ჰყავდეთ. მიეჩვივნენ ამ ყველაფერს და თან კორონა მოეწონათ. თვითონ რესტორნებშიც დადიან, კარგსაც ჭამენ და კარგსაც სვამენ. როცა უნდათ, ხალხს მაშინ ჩაკეტავენ. ზოგი იმასაც უშვებს, არჩევნებს რომ გავაყალბებთ, მერე ასე ვიზამთ და ისე ვიზამთო. ეს ყველაფერი სულელი ადამიანის ფიქრებს ჰგავს. არაფერი აღარ ეშველება ამ არჩევნებზე „ოცნებას“, რაც არ უნდა ეპიდემია აცხადონ, რაც არ უნდა კორონა, არჩევნები ჩატარდება და აუცილებლად ისინი დამარცხდებიან. ამის მერე ნორმალურ ქვეყანაში უნდა ვიცხოვროთ ყველამ.

***– ოპოზიციაშიც არ არის საქმე კარგად. დაპირისპირება, ერთმანეთის ლანძღვა. ბოლო პერიოდში მიხეილ სააკაშვილის განცხადებებმა და მისმა ფაქტორმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ყველა აცხადებს, რომ სააკაშვილის პრემიერობას მხარს არ დაუჭერენ, რომ მას არ აღიარებენ. რას იტყვით ამ ყველაფერზე?***

– მიხეილ სააკაშვილის პრემიერად აღიარებას არ უნდა პოლიტიკოსების აღიარება, ამას სჭირდება მისი აღმატებულება ქართველი ხალხის გადაწყვეტილება. ამიტომ მე მესმის ამ პოლიტიკური პარტიების. სწორიც არის ალბათ მათი მხრიდან, პარტიული იდენტობა სჭირდებათ, გარკვეული ხმები და მანდატები სჭირდებათ. თუმცა დღეს თუ ვინმეს შეუძლია „ქართული ოცნების“ დამარცხება, ეს ნამდვილად არიან ნაციონალური მოძრაობა და ჩვენს ბლოკში შემავალი პარტიები.

ის პარტიები, რომლებიც ცალკე გადიან, ალბათ ლოგიკური და ნორმალურია, რასაც აკეთებენ, თუმცა ავიწყდებათ რეალური პრობლემა და რეალური პრობლემა არ არის ის, ხვალ ვინ იქნება პრემიერი. რეალური პრობლემაა ეკონომიკური გაჭირვება, ოლიგარქია და კრიმინალი, რომელიც ქვეყანაშია და ამაზე არ ლაპარაკობენ.

***– არათანმიმდევრულ განცხადებებში ადანაშაულებენ სააკაშვილს, ჯერ მოდიოდა, ახლა აღარ მოდისო.***

– მიშა სააკაშვილს აბსოლუტურად სწორი და ადეკვატური განცხადებები ჰქონდა და მან თქვა კიდეც, რომ ქვეყანაში არ ჩამოვა, სანამ ეს ხელისუფლება არ შეიცვლება. „ქართული ოცნება“ ხომ სულ ამით აშინებს ხალხს, რომ მიშა ჩამოვა, არეულობა იქნება, მიშამ კი თქვა – როგორ მშვიდობიანადაც წავედი, ისე მშვიდობიანად ვაპირებ ქვეყანაში დაბრუნებასო.

***– ნაციონალური მოძრაობა უმრავლესობაში უნდა მოვიდეს, სხვა შემთხვევაში მიშას პრემიერად ვერ დაამტკიცებენ და გაქვთ ამის იმედი?***

– რატომაც არა?! ჩვენ არჩევნებში იმიტომ ვმონაწილეობთ, რომ გავიმარჯვოთ.

***– კვლევები რომ სრულიად სხვა ციფრებს გვიჩვენებს?***

– არა უშავს. კვლევები იმასაც ამბობდნენ, რომ გრიგოლ ვაშაძე 17%-ს იღებდა, მაგრამ 40% აიღო პირველ ტურში. ხალხმა ისწავლა ჭკუა და აღარ ლაპარაკობენ საკუთარ არჩევანზე. ასე 2012 წელს 7% ჰქონდა „ქართულ ოცნებას“ და 52% აიღო არჩევნებზე. არის წინასწარი კვლევები, მაგრამ არჩევნების შედეგები დგება სრულიად სხვა. ყველა კვლევა 16-17%-ს უჩვენებს ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ როდის აიღო 27-30%-ზე ნაკლები?!

***– დამარცხდება „ოცნება“ ამ არჩევნებზე?***

– „ოცნებაზე“ აღარც ვლაპარაკობ, ერთი წამითაც აღარ მეპარება ეჭვი, რომ დამარცხებულია ამ არჩევნებში. ის მოხვდება ოპოზიციურ ფლანგზე.

***– თუკი არ გამართლდა თქვენი მოლოდინი და სრულიად სხვა შედეგები დაიდო? იქნებ იმარჯვებს ისევ „ოცნება“?***

– კატეგორიულად გამოვრიცხავ, „ოცნებამ“ თავი გამარჯვებულად გამოაცხადოს. თუ ამას გააკეთებენ და ხელისუფლებას მიიტაცებენ, ადეკვატურ პასუხსაც მიიღებენ.

# „არ შეიძლება, ხელისუფლება და ბიზნესი ერთ ბალახს ძოვდნენ“

## დავით ჭიჭინაძე: „სად არის ძლევამოსილი მთავრობა და მედიცინა?! ველოდები, რომ საზეიმო ვითარებაში გამოაცხადებენ – უკვე 100 დაინფიცირებული გვყავს! მერე განგაშის ზარს შემოჰკრავენ“

ნათია ხურცილავა

პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **დავით ჭიჭინაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო დავით, „ქართულმა ოცნებამ“ გადადგა ნაბიჯი, როდესაც ის ხელისუფლებას ემშვიდობება. რით გამოიხატება ხელისუფლების ოპოზიციაში გადასვლა?***

– „ქართული ოცნება“ არავითარ საარჩევნო დაპირებას არ იძლევა. მას ამის რესურსი არ აქვს, მხოლოდ და მხოლოდ წარსულით აპელირებს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ასეთი ძალა განწირულია.

მეორე, ძალიან ნიშანდობლივი მაჩვენებელი: „ქართული ოცნება“, ხმაურიანი დაანონსების მიუხედავად, რომ საარჩევნო სიას განაახლებდა და ახალ სახეებს მოიყვანდა პოლიტიკაში, რას ვხედავთ, იგივე ხალხი, იგივე ადამიანები, რომელთაც ეს ქვეყანა მიიყვანეს ამ მდგომარეობამდე. აი, ეს ყველაფერი ერთობლიობაში ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებას ნამდვილად ემშვიდობება.

***– გამართლდა ჟურნალისტების ინფორმაცია, რომ „ოცნების“ სიის პირველი ნომერი გიორგი გახარია იქნებოდა. მეორე ნომერი თალაკვაძეა, მესამე – კობახიძე, შემდეგ მოდიან წულუკიანი და სხვები. ელოდით მათ სიაში? რას გეუბნებათ ეს ჩამონათვალი?***

– ამ გვარების ახალ სიაში გადატანა, იცით, რას ნიშნავს?! პირდაპირი მნიშვნელობით გვეუბნებიან: როგორც აქამდე ვიყავით ყრუ ხალხის პრობლემების მიმართ, ისევ ისე ვიქნებით, წავუყრუებთო. ამ სიით „ქართული ოცნების“ გზავნილია – არაფრის შეცვლას არ ვაპირებ. ხალხის მოთხოვნას, რომ რადიკალური ცვლილებები მოხდეს ქვეყანაში, დასრულდეს სტაგნაცია, ხელი-



სუფლება პასუხობს, რომ ისევ ძველი მეთოდებით, ძველი ხალხით მართავს ქვეყანას. შეუძლებელია, ეს აწყობდეთ საქართველოს მოქალაქეებს, ქართველ ხალხს. ამიტომ ვამბობ, რომ არჩევნებზე ხალხი მიიღებს გადაწყვეტილებას და „ოცნებას“ ეტყვის – არაფერს ცვლი, დაგემშვიდობები! როგორც „მოქალაქეთა კავშირი“ მიეცა დავიწყებას, ისე მიეცემა ძალიან მალე „ქართული ოცნება“ დავიწყებას.

ბიძინა ივანიშვილის სიტყვას რესურსი არ აქვს. მან დანაპირები არ შეასრულა, ერთი წელი ითხოვა და ხალხმა მისცა ეს ერთი წელი, ახლა ძალიან რთულ, გამოუვალ მდგომარეობაშია. კიდევ ითხოვოს მე-10, მე-11 წელი?!

***– ბიძინა ივანიშვილს ოპოზიციაში ხედავთ?***

– ოპოზიციაში ვერ ვხედავ. მათ ხელისუფლებაში ყოფნის რესურსი არ გააჩნიათ და ოპოზიციაში ყოფნის რესურსი – მით უფრო, თან, თუ იმ კონტინგენტს გადავხედავთ, რომელსაც დღეს „ოცნება“ წარმოადგენს, მოხტუნავე პოლიტიკური კალიებს ვგულისხმობ, არავითარი რესურსი ოპოზიციაში მათ არ აქვთ. ეს ხალხი ოპოზიციაში გადავა?! შევარდნაძის დროსაც რომ იყვნენ ხელისუფლებაში, მერე სააკაშვილის მთავრობაში რომ იყვნენ, ახლა „ოცნებაში“ რომ არიან, ამ ხალხზეა საუბარი. ეს ხალხი ამას მიჩვეულია. იმ წუთში გადასკუპდებიან ახალ ნავში. ნავი ჩაძირვას რომ დაიწყებს, იმავე წუთში გადასკუპდებიან. ამის მოწმენი უახლოეს მომავალში გავხდებით.

თან ამას ემატება ის ხალხი, რომლებიც „ოცნების“ სიაში არიან დღეს წარმოდგენილი. ე.წ. ექსპერტები, რომლებიც ხელისუფლებიდან ანაზღაურებას იღებდნენ, რომ მხარდამჭერი, გამამართლებელი განცხადებები გაეკეთებინათ. აი, ასეთ ხალხზეა საუბარი.

მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ ასეთი ხალხი საერთოდ პოლიტიკას ჩამოშორდეს. პირდაპირ გეტყვით, განსაკუთრებით – ბიზნესმენები. ერთხელ და საბოლოოდ უნდა მოხდეს პოლიტიკისა და ბიზნესის გამიჯვნა. არ შეიძლება, ხელისუფლება და ბიზნესი ერთ ბალახს ძოვდნენ, ერთ მხარეს წარმოადგენდნენ. ალოგიკურია, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ. ეს წარმოუდგენელი ნონსენსია.

***– რამდენად რეალურია ასეთი კანონის მიღება, რომ ბიზნესი არ იყოს პოლიტიკურ პროცესში ჩართული?***

– უნდა მივიღოთ. შეუძლებელია, გაგრძელდეს ის, რაც დღეს ხდება ამ კუთხით. ბიზნესმენები მინისტრებთან სხედან და ერთად სხვადასხვა თემას ალაგებენ.

***– გართულებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა კორექტივებს შეიტანს წინასაარჩევნო პროცესში, რას ფიქრობთ?***

– სად არის ძლევამოსილი მთავრობა და მედიცინა?! ველოდები, რომ საზეიმო ვითარებაში გამოაცხადებენ – უკვე 100 დაინფიცირებული გვყავს! მერე განგაშის ზარს შემოჰკრავენ. მთელი ცივილიზებული სამყარო ქუჩაში გამოდის და თავისი კონსტიტუციური უფლებების აღდგენას ითხოვს. ძალიან მაინტერესებს, რა ფენომენია უსიმპტომოები. მზად ვარ, ყოველგვარი ნიღბის გარეშე შევიდე მათთან და ერთი დღე გავატარო, ვნახო, როდის რა გამოუვლინდებათ.

თაღლითობას თავი დაანებონ. ეს ძალიან ცუდად დამთავრდება. ამ ყველაფერს ემატება ყველაზე მნიშვნელოვანი – მთავრობას არ აქვს არავითარი ნდობის რესურსი, რაზეც დგას საერთოდ სახელმწიფო. ეს რესურსი „ქართულ ოცნებას“ გამოცლილი აქვს. პანდემიის პირველი ტალღის დროს ოდნავ სული რომ მოითქვეს და თითქოს წელში გამართვას შეეცადნენ, ეს სულაც არ იყო მათი დამსახურება. ეს იყო ამ ქვეყნის მოქალაქეებისა და ექიმების დამსახურება. მთავრობას ამასთან არავითარი კავშირი არ აქვს. მთავრობას რასთანაც კავშირი ჰქონდა, ეს იყო და არის ეკონომიკა, რომელიც დღეს სულს ღაფავს.

***– არჩევნებისგან რას ელით?***

– პირველ რიგში, არჩევნების შემდეგ იქნება როგორც პოლიტიკური, ისე სერიოზული ეკონომიკური კრიზისი ქვეყანაში. სამწუხაროდ, ეს გარდაუვალია. ამიტომ „ქართულ ოცნებას“ მოუწევს ხელისუფლების დათმობა.



შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# თამარ ჩხეიძე: „წინასაარჩევნო კამპანია საკმაოდ ულიმღამოდ მიმდინარეობს“

## „რუსეთის დავალებით ამზადებენ ნიადაგს აფხაზეთის აღიარებისათვის“

მარიამ მჭედლიშვილი

როგორ მიმდინარეობს წინასაარჩევნო კამპანია? არის თუ არა დროული საუბარი 31 ოქტომბრის შემდეგ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე? ვის და რისთვის სჭირდება აფხაზეთის საკითხის გარკვეული სახით წამოწევა? — ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.



***– ბევრი ვარაუდი გამოითქმის იმაზე, რომ 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ვერ შეიქმნება უმრავლესობა საკანონმდებლო ორგანოში, ვერ მოხერხდება მთავრობის დაკომპლექტება, რაც გამოიწვევს რიგგარეშე არჩევნებს.***

– მომავალ ვადამდელ არჩევნებზე ძალიან ადრეა საუბარი. არაფრით არ შეიძლება იმის თქმა, რომ მთავრობა ვერ დაკომპლექტდება. ახლა სხვა პრობლემებია. მაგალითად, ისევ გააქტუალურდა პანდემიის თემა. ამ საბაბით ხელისუფლებამ შეიძლება არჩევნები გადადოს.

***– არსებობს ასეთი აზრიც, რომ „ქართულ ოცნებას“ არჩევნების გადადება არ აწყობს. მას ურჩევნია, პანდემიის მომიზეზებით შემოიღოს აკრძალვები. ეს აკრძალვები არ შეეხება ხელისუფლებას, სხვებს კი დააზარალებს.***

– რასაკვირველია. ამის სურვილი ხელისუფლებას აქვს. არჩევნების გადადება მთავარი მიზანი არ არის. გადავადება იქნება უკიდურესი ზომა. მას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა სხვა გამოსავალი არ დარჩებათ, როცა დაინახავენ, რომ საქმე ცუდად აქვთ.

***– ზოგადად როგორ მიმდინარეობს წინასაარჩევნო კამპანია?***

– წინასაარჩევნო კამპანია საკმაოდ ულიმღამოდ, დუნედ და უსიცოცხლოდ მიმდინარეობს. პროცესი ცოტა გამოაცოცხლა მიხეილ სააკაშვილის განცხადებებმა, თუმცა ისინიც უფრო ზოგადი იყო.

***– სააკაშვილის მომხრეები მისგან მეტს ელოდნენ. ალბათ, ეგონათ, რომ იგი არჩევნებამდე ჩამოვიდოდა.***

– საქართველოში ჯერჯერობით არ არის ის სიტუაცია, რომ სააკაშვილი ჩამოვიდეს. ამას უარყოფითად არ ვაფასებ და არ ვაკრიტიკებ მას იმის გამო, რომ ახლავე არ ჩამოდის. ეს დაკავშირებულია რისკთან. არჩევნების შემდეგ თუ შეიცვლება ვითარება, ის ჩამოვა. მას აბსურდული და სასაცილო ბრალდებები აქვს წაყენებული – ხარჯები პიჯაკებისათვის, გვირგვინებისათვის და ა.შ. ამის გამო ადამიანის დაპატიმრება არ შეიძლება. საზოგადოება რომ ადეკვატური იყოს, არ დაუშვებდა ამ სასაცილო საბაბით მესამე პრეზიდენტის დევნასა და დაკავებას.

***– არსებული მოდელით 31 ოქტომბრის შემდეგ ბევრი პარტია შევა პარლამენტში? დღევანდელ პარლამენტთან შედარებით მრავალპარტიულობა გვექნება?***

– დღევანდელ პარლამენტთან შედარებით უეჭველად მრავალპარტიული პარლამენტი გვექნება. ასეთ პირობებში იზრდება პარლამენტში მოხვედრილი პარტიების მნიშვნელობა.

***– ამ არჩევნების წინ უფრო ხშირია განცხადებები რუსეთის მოსალოდნელ ჩარევაზე.***

– „ჩარევა“ ზუსტი სიტყვა არ არის. სამწუხაროდ, რუსეთი კი არ ერევა საქართველოში მიმდინარე პროცესებში, არჩევნებში, არამედ, ხდება გადამწყვეტი ფაქტორი. საუბედუროდ, აქამდე ასე იყო. დღევანდელი ხელისუფლებაც რუსეთის მოყვანილია.

***– არჩევნების წინა პერიოდს დაემთხვა უცნაური ურთიერთობა ოკუპირებულ აფხაზეთთან. „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები გადავიდნენ აფხაზეთში და ილორის ტაძარს შესწირეს ხატი. მოგვიანებით ხატი აფხაზებმა ენგურის საკონტროლო-გამშვებ ხიდთან მოაბრძანეს, ანუ უკან დააბრუნეს. ვინ რა მოიგო და წააგო ამ ნაბიჯით?***

– არავის მოუგია. ეს იყო ნიადაგის მოსინჯვა რუსეთის დავალებით. ხატის გადაბრძანებაში არ არის საქმე. პრორუსულმა ძალებმა საქართველოში შეასრულეს პუტინის მითითება.

***– რა მითითება?***

– რუსეთის დავალებით ამზადებენ ნიადაგს აფხაზეთის აღიარებისათვის. ამას პირდაპირ ვერ იტყვიან, ნელ-ნელა გვაპარებენ. როცა ირმა ინაშვილის ერთ-ერთმა ტელევიზიამ აფხაზეთის ცნობაზე პირველად შეკითხვა დაუსვა, მან დაიწყო საუბარი ახალ რეალობაზე. მოგვიანებით პარტიაში უარყვეს აღიარება, თუმცა ფაქტია, რომ ხალხს რაღაცისთვის ამზადებენ. ამ პარტიის წევრები აფხაზეთში გადავიდნენ საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობით. ამ ხელისუფლების უკან რუსეთი დგას. პატრიოტთა ალიანსი პრორუსული პარტიაა. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ რომელიღაც გამოცემამ გამოაქვეყნა ინფორმაცია პარტიის კრემლიდან დაფინანსების შესახებ. ეს რომ არ ყოფილიყო, ისედაც ცხადია, ვის ინტერესებს ემსახურებიან ეს პოლიტიკოსები. ამაზე მეტყველებს მათი განცხადებები.

# „ნატოს სამხედრო ძალების საქართველოში გამოჩენა რუსეთისთვის სახიფათოდ აღიქმება“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

***– ბატონო ვახტანგ, საქართველოში ტარდება სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი – 2020“, რომელშიც დიდი ქვეყნები – ამერიკა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია მონაწილეობენ. რუსეთის ბოლოდროინდელი წინმსწრები რეაქციები და ქმედებები საქართველოს წინააღმდეგ ამ სამხედრო სწავლებას ხომ არ უკავშირდებოდა? სწავლების დაწყებამდე ორი დღით ადრე რუსები გორი-თბილისის ცენტრალური მაგისტრალიდან 300 მეტრის სიშორეზე, ცხინვალის რეგიონში ხნულებს ავლებდნენ, აფხაზებს ხატი უკან დააბრუნებინეს...***

– კიდევ კიბერშეტევა იყო, საქართველოს დააბრალეს ნოვიჩოკის კომპონენტების დამზადება. ეს ყველაფერი საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ჰიბრიდული ომის პირველი ფაზა იყო. რაც რუსეთმა გააკეთა, შეიძლება, უკავშირდებოდა იმ ფაქტს, რომ საქართველოში ტარდება ნატოს სამხედრო წვრთნები, რომელსაც ჰქვია „ღირსეული პარტნიორობა“. ეს წვრთნები წლებია, ტარდება. უბრალოდ, ახლა სიახლე ის იყო, რომ დემონსტრაციული ჩვენება მოხდა – „ს-130-მა ჰერკულესმა“ გადმოისროლა (პარაშუტით დესანტირება განხორციელდა) 173-ე სადესანტო ბრიგადის 200 მეომარი ვაზიანის პოლიგონზე.

ერთდროულად რუმინეთიდან საქართველოს მიმართულებით განხორციელდა ეს ძალიან კარგი სამხედრო მანევრი. მერე უკვე დაიწყო სამხედრო წვრთნები, რომელიც ახლაც მიმდინარეობს და 18 სექტემბერს მთავრდება. 21 სექტემბერს კი რუსები თავიანთ წვრთნებს „კავკასია – 2020-ს“ იწყებენ.

***– სხვათა შორის, ახლა თქვეს, თითქოს რუსეთის რეაქციებს საქართველო სათავისოდ იყენებს. რეალურად, რუსეთს ეკალივით გულზე ესობა საქართველოში ჩატარებული ნატოს წვრთნები და ჩვენი სამხედრო გაძლიერება. უსაფრთხოების თვალსაზრისით, რას ნიშნავს ჩვენთვის ასეთი წვრთნები?***

– რუსეთის ახალი სამხედრო დოქტრინის მესამე თავში ძალიან მკაფიოდაა ჩაწერილი სამხედრო საფრთხეები, რომ ამერიკის, ნატოს სამხედროებისა და ინფრასტრუქტურის ნებისმიერი გამოჩენა რუსეთის მეზობელ სივრცეში (საუბარია პოსტსაბჭოთა სივრცეზე), კრემლის მხრიდან სამხედრო საფრთხედ აღიქმება. ახალ დოქტრინას პრეზიდენტმა პუტინმა 2018 წელს ხელი მოაწერა. ეს დაფიქსირებულია შავით თეთრზე და ამაში ახალი არაფერია.



შესაბამისად, ამერიკისა და ნატოს ნებისმიერი სამხედრო ტექნიკისა და ძალების გამოჩენა უკრაინასა და საქართველოში რუსეთისთვის მტკივნეულია და სახიფათო ნაბიჯად აღიქმება. ამიტომ შეიძლება რუსეთმა შესაბამისი კონტრნაბიჯები განახორციელოს თავისი ინტერესების დასაცავად.

***– რამდენიმე თვის წინ რუსეთის მხრიდან კიბერშეტევა რომ განხორციელდა, თქვენ მითხარით, კიდევ არის მოსალოდნელი კიბერშეტევაო. ფაქტობრივად, თქვენ იწინასწარმეტყველეთ, რომ რუსეთი კიდევ მოაწყობდა კიბერშეტევას საქართველოზე.***

– მე თქვენ ივნისში გითხარით, რომ დაახლოებით სექტემბერში რუსეთი საქართველოზე კიბერშეტევას კვლავ განახორციელებდა.

***– ეს კიბერშეტევა კავშირში არის თუ არა მიმდინარე სამხედრო სწავლებასთან, რუსეთი მიზეზს მაინც იპოვის.***

– ცხადია, მიზეზს იპოვის.

***– თუმცა ახლა, ალბათ, იმის ჩვენება უნდოდა, რა სწავლებაც უნდა ატაროთ საქართველოს ტერიტორიაზე, რა ძალებიც უნდა ჩააყენოთ საქართველოს უსაფრთხოების სამსახურში, ჩვენ ჩვენს საქმეს მაინც გავაკეთებთ – კიბერშეტევასაც განვახორციელებთ, საოკუპაციო საზღვარსაც გადმოვწევთო.***

– კი ბატონო. ჰიბრიდული, ასიმეტრიული პასუხი ამასაც მოიცავს. ჩათვალეთ, რომ ამ თემატიკას უკავშირდება. რუსეთი სხვა მეთოდებსაც მიმართავს. მაგალითად, ახლა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილზე რაღაც ფეიკი გავრცელდა. ფეიკი რუსეთის სპეცსამსახურებმა გაავრცელეს, რაც შეიძლება ჰიბრიდული ომის მეორე ფაზის პირველ ნაწილად ჩავთვალოთ.

ეს უკვე ფსიქოლოგიური ომის მომენტია, როდესაც საქართველოს პრეზიდენტზე ავრცელებენ სიყალბეს, მიზანმიმართულ, პროვოკაციულ, არარსებულ ინფორმაციას, რომელსაც თავისი მიზანი და ამოცანა გააჩნია. კერძოდ, გავრცელებული ფეიკის მიზანია, საქართველოში სიტუაცია დესტაბილიზაციისკენ წავიდეს.

***– აქედან გამომდინარე, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ნატოს ჯარებისა და ჩვენი სამხედროების თავსებადობის მიღწევას რა მნიშვნელობა ენიჭება?***

– საქართველო თავის სუვერენიტეტს აქამდე რომ ინარჩუნებს და დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ეს არის ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და პროდასავლური კურსის შედეგი. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური საკმაოდ სერიოზული ალმავლობა და ტურიზმის აყვავება პროდასავლური კურსის შედეგია. ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტები მეტ-ნაკლებად რომ მოქმედებენ, ხალხს გააჩნია თავისი თავისუფალი აზრის გამოხატვის უფლება. ჩვენ გვაქვს საშუალება, ნებისმიერი ხელისუფლება, რომელმაც გადალახა ზღვარი – მოახდინა თავისუფლების ხელყოფა და დემოკრატიული ფასეულობების შებღალვა, გადავაყენოთ, როგორც ეს სააკაშვილის ხელისუფლების შემთხვევაში მოხდა.

დღევანდელი საზოგადოება რამდენად ენდობა არსებულ მმართველ პოლიტიკურ ძალას, 31 ოქტომბრის არჩევნებზე გაირკვევა. ეს არის სწორედ პროდასავლური ორიენტაციის შედეგი. პროდასავლური ორიენტაციის შედეგია მასმედიის თავისუფლებაც.

# ბიძინა ივანიშვილი: „საქართველო უნდა იყოს ევროპული ქვეყანა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თარება გარანტირებულია, სადაც სუსტს ეხმარებიან, ნიჭს ახალისებენ, თავდადებას აფასებენ, ფესვებს უფრთხილდებიან და მომავალზე ზრუნავენ; სადაც თითოეულის წარმატებისთვის თანაბარ პირობებს ქმნიან; სადაც ხელისუფლება ხალხის სამსახურშია და არა – პირიქით.

ჩვენი პარტია ამ გზას ადგას და პირობას გაძლევთ, კვლავაც თავდაუზოგავად იმუშავებს იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ მიღწეული და ვიზრუნოთ წინსვლაზე, რომ ხვალინდელი დღე იყოს უკეთესი, თითოეული თქვენგანი იყოს უკეთ, ვიდრე გუშინ იყო. საქართველო იყოს უფრო უსაფრთხო ქვეყანა, ვიდრე გუშინ იყო. უფრო ახლოს იყოს ქვეყნის გამთლიანებასთან, უფრო ახლოს იყოს ევროპასა და ნატოსთან, დემოკრატიის სტანდარტები იყოს უფრო მაღალი, კიდევ უკეთ იყოს დაცული ადამიანის უფლებები. ეკონომიკური წინსვლა იყოს ყველასთვის თვალსაჩინო და ხელშესახები. შევძლოთ გაჭირვებაში მყოფი ადამიანების დახმარება, რომ აღარ გვყავდეს სოციალურად დაუცველი არც ერთი მოქალაქე.

ჩვენ ამას შევძლებთ. და ამის რწმენას მაძლევს მოტივირებულ პროფესიონალთა ის გუნდი, რომელიც დღეს აქაა წარმოდგენილი. თითოეული თქვენგანი მზადაა, ემსახუროს ხალხსა და ქვეყანას. ამ გუნდში არიან ადამიანები, რომლებმაც უკვე დაამტკიცეს, რომ ყველაზე რთულ ვითარებაშიც კი შემძლე არიან გაუმკლავდნენ თავიანთ საქმეს, დარჩნენ იდეისა და საქმის ერთგულნი და ხალხი და ქვეყანა განსაცდელს აარიდონ, – განაცხადა ივანიშვილმა.

# მარიამ ჯაში, ბექა ნაცვლიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი, ზვიად კვაჭანტირაძე და გედევან ფოფხაძე თვითიზოლაციაში იმყოფებიან

„ჩვენი საქართველო – სოლიდარობის ალიანსის“ ლიდერები: მარიამ ჯაში, ბექა ნაცვლიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი, ზვიად კვაჭანტირაძე და გედევან ფოფხაძე თვითიზოლაციაში იმყოფებიან.

როგორც „ჩვენი საქართველო – სოლიდარობის ალიანსის“ განცხადებაშია აღნიშნული, ალიანსის ყველა ლიდერი კონტაქტშია ეპიდემიოლოგებთან და მათი რეკომენდაციებით მოქმედებენ.

„მოგეხსენებათ, ჩვენი პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ლევან გოგიჩაიშვილსა და მის მეუღლეს დაუდასტურდათ კორონავირუსი.

ბუნებრივია, ჩვენი გუნდისთვის უპირველესია ადამიანების ჯანმრთელობა და ამიტომ ჩვენ დავხურეთ პარტიის თბილისის სათავო ოფისი. ყველა ის ადამიანი, ვისაც ჰქონდა ლევან გოგიჩაიშვილთან სამუშაო შეხვედრა 6 სექტემბრის (კვირის) შემდეგ, გადავედით თვითიზოლაციაში, მათ შორის, „ჩვენი საქართველო – სოლიდარობის ალიანსის“ ლიდერები: მარიამ ჯაში, ბექა ნაცვლიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი, ზვიად კვაჭანტირაძე და გედევან ფოფხაძე.

ჩვენი ოფისები ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ოზურგეთში აგრძელებენ მუშაობას ჩვეულ რეჟიმში, მაგრამ, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყველა ოფისს ვაძლევთ რეკომენდაციას, რომ მაქსიმალურად გადავიდნენ ამომრჩევლებთან ონლაინკომუნიკაციის რეჟიმზე.

რა თქმა უნდა, შევაჩერეთ თბილისში აქტიური წინასაარჩევნო კამპანიაც, რომელიც მოიცავს ამომრჩეველთან პირდაპირ კომუნიკაციას, შეხვედრებს, კარდაკარსა და ა.შ.

თუმცა არ ვწყვეტთ თქვენთან ურთიერთობას და, პირიქით, იმედი გვაქვს, რომ დისტანციურ რეჟიმში ბევრად უფრო ხშირი შეხვედრები გვექნება თვითიზოლაციიდან ონლაინჩართვებით და თქვენს თითოეულ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გასაცემად კიდევ უფრო მეტი დრო გვექნება.

პარტია „ჩვენი საქართველო – სოლიდარობის ალიანსის“ ყველა ლიდერი არის უშუალოდ კონტაქტში ეპიდემიოლოგებთან და ვმოქმედებთ მათი რეკომენდაციებით.

ვერ დავუშვებთ, რომ საარჩევნო კამპანიის გამო რისკის ქვეშ დავაყენოთ თუნდაც ერთი ადამიანის ჯანმრთელობა. ამიტომ დღეიდან აქტიურად ვერთვებით დისტანციურ რეჟიმზე და ვაგრძელებთ საარჩევნო კამპანიას ონლაინ“, – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

# „სიცოცხლით სავსე მივიდა ჩემი გოგო კლინიკაში და მკვდარი წამოვიყვანეთ“

26 წლის ეთერ მეტივიშვილი თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოში 26 ივნისს გარდაიცვალა. მას შემდეგ ოჯახი შვილის გარდაცვალებაში საავადმყოფოს ექიმებს ადანაშაულებს და მათ დასჯას ითხოვს. ოჯახმა საჩივარი შეიტანა პროკურატურაში, ასევე იჩივლა რეგულირების სამსახურში და მიზეზების გამოძიებას ითხოვს. მათი მტკიცებით, თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოში ახალგაზრდა ქალს ნაღვლის ოპერაცია დარღვევებით ჩაუტარდა, ექიმების დაშვებული შეცდომის გამო სეფსისი განვითარდა, მდგომარეობა მეორე დღესვე დამძიმდა.

ახალგაზრდა ქალი კომატოზურ მდგომარეობაში რამდენიმე დღეში ებრძოდა სიკვდილს. ოჯახი დარწმუნებულია, რომ ექიმების გულგრილობასა და არაპროფესიონალიზმს შეეწირა მათი შვილის სიცოცხლე და სასწრაფოდ ამ ექიმებისთვის უფლებამოსილების შეჩერებას ითხოვს.

„ამბები“ გარდაცვლილის დედას ესაუბრა.

**გიული შატაკიშვილი, გარდაცვლილი გოგონას დედა:**

– 18 ივნისს ჩემი შვილი ცუდად გახდა და კენჭის შეტევით გორის საავადმყოფოში სასწრაფოთი მივიყვანეთ, თუმცა იქიდან თბილისში გამოგვიშვეს, რადგან კორონავირუსის გამო კლინიკა დაკეტილი იყო. გვითხრეს, რომ იქ ვერ გააკეთებდნენ ოპერაციას. სადინარში კენჭი ჩაჭედილი ჰქონდა, ასევე ნაღველი იყო ამოსაღები. საშინელი ტკივილები ჰქონდა. გორში ექიმმა მირჩია თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოში ექიმ გიორგი ბოჭორიშვილთან მივსულიყავით, მისი ტელეფონის ნომერიც მოგვცა და ჩვენი მანქანით წამოვიყვანეთ სასწრაფოდ თბილისში.

გზაშიც გაუსაძლისი ტკივილები ჰქონდა. გზიდან ექიმ ბოჭორიშვილს დავურეკე და ვუთხარი ჩვენი მდგომარეობა, მითხრა, კლინიკაში მორიგე ექიმი დაგხვდებათ და მეც მალე მოვალო. მართლაც, რომ მივედით, თვითონაც მალე მოვიდა, გასინჯეს ჩემი შვილი, ექოსკოპიაც გაუკეთეს და სასწრაფოდ საოპერაციოდ შეიყვანეს.

ოპერაცია დასრულდა და გვითხრეს ნარკოზიდან გამოვიდაო, მაგრამ ნახვის უფლებას არავის გვაძლევდნენ კარანტინის გამო. თბილისში დასარჩენი არ გვქონდა და გვიან ღამით გორში დავბრუნდით. ხუთშაბათს გაუკეთდა ოპერაცია ჩემს შვილს და ექიმმა გვითხრა, შაბათს გავწერთ კლინიკიდანო. თანხა გვქონდა გადასახდელი, ექიმმა პარასკევს დაგვირეკა, თანხა ჩამოიტანეთო. ჩემს შვილს ოპერაციის მერე „სკაიპით“ ვეკონტაქტებოდი, მეორე დღეს, პარასკევს, ფეხზე წამოაყენეს და ოთახში გაატარეს, მაგრამ ჩემი შვილი მეუბნებოდა, სიცხეები მაქვს და ტკივილებიო, მეგონა, ეს ოპერაციის შემდგომი ტკივილები იყო. ექიმებსაც ეუბნებოდა იგივეს, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია.

პარასკევს დამძიმდა მდგომარეობა, მითხრა, დედა, ცუდად ვარ, ლაპარაკის თავიც არ მაქვსო. შაბათი რომ გათენდა, მაშინვე დავურეკე. არ ჩამოხვიდეთ, არ მწერენ კლინიკიდანო, ცოტა ხანში ისევ დამირეკა, სასწრაფოდ ჩამოდითო. ჩამოვედით და კლინიკიდან გაწერის ნაცვლად, ჩემი შვილი ხელახლა შეიყვანეს ოპერაციაზე, გვითხრეს, ახალი დრენაჟი უნდა ჩავაყენოთო. მაშინ არ ვიცოდი ჯერ, სეფსისი თუ ჰქონდა დაწყებული და მისი ორგანიზმი მოწამლული იყო. ძლივს მელაპარაკა რამდენიმე წუთით, ვიდრე გონებაზე იყო. 5-ის ნახევარზე შეიყვანეს ოპერაციაზე, 4 საათი არაფერი ვიცოდით. სამი ექიმი იყო ჩართული: გიორგი ბოჭორიშვილი, თამარ გოგიჩაიშვილი და ლაპარასკოპისტი გიორგი სიჭინავა.

პასუხს არავინ გვაძლევდა, ბოლოს გვითხრეს, სიტუაცია ძალიან მძიმეა, მაგრამ სტაბილურიო, სეფსისია წასული და ოპერაციის დროს გულიც კი გაუჩერდა და ავუმუშავეთო. თვალი გაახილა ნარკოზის მერე-მეთქი? – მიპასუხეს, კი, მაგრამ ხელოვნურად დავაძინეთ, კომაში შევიყვანეთო. ისევ არ გვიშვებდნენ მის სანახავად კარანტინის გამო, შევთავაზეთ სხვა კლინიკიდანაც მოვიყვანდით ექიმს, ან სხვა კლინიკაში გადავიყვანდით, ან სადმე საზღვარგარეთაც წავიყვანდით, მაგრამ გვეუბნებოდნენ, რომ სიცოცხლის მაჩვენებელი დაბალია, ყველაფერს ვუკეთებთ და ამ ეტაპზე არავინ არის საჭიროო.

ვერ მოვისვენეთ და მეორე დღეს მაინც მოვიწვიეთ სხვა ექიმები, რადიოლოგიც მოვიყვანეთ და მან გვითხრა, ძალიან რთული მდგომარეობააო. ისეთი გულგრილი დამოკიდებულება იყო ცენტრალურ საავადმყოფოში, მსგავსი არსად მინახავს, პასუხსაც კი არ გვაძლევდნენ ნორმალურად, მათი გულგრილობის გამო პატრულიც კი გამოვიძახეთ.





ვითხოვდით, სურათები მაინც გადაეღოთ, რომ გვენახა, რა მდგომარეობაში იყო ჩვენი 26 წლის გოგო. დიდი ბრძოლის მერე რეანიმაციაში შემიყვანეს, უკვე სილურჯეები ჰქონდა დაწყებული ჩემს შვილს. თამარ გოგიჩაიშვილს ვკითხე, სილურჯეები რატომ აქვს-მეთქი, ჟანგბადის ნაკლებობაა, მაგრამ ყველაფერი გავაკეთეთო. საშინელება ვნახე, შავი იყო ბავშვის კიდურები, მტევნები, თითები. სილურჯეები ჰქონდა მთელ ტანზე და წყლულები რომ დავინახე, ვკითხე ეს რატომ აქვს-მეთქი, სიცხის გამო ცივ ყინულებს ვადებდითო, ურთიერთგამომრიცხავ პასუხებს მაძლევდნენ, ხან ამბობდნენ, ფეხებს ვუთბობდითო. ფაქტობრივად, მკვდარი ესვენა ჩემი შვილი.

დიდი ხანი ვიყავი რეანიმაციაში, ვტიროდი და ჩემს შვილს ვეფერებოდი. ფეხები გაციებული ჰქონდა. არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ შვილი აღარ მყავდა. მერე ჩემი მეუღლე და სიძეც ავიდნენ, დაშოკილები გავიდნენ გარეთ. უკვე გარდაცვლილი იყო, უჯრედები მკვდარი ჰქონდა, მაგრამ უბრალოდ აპარატზე ჰყავდათ შეერთებული და ბიუჯეტიდან თანხის ამოწურვას ელოდნენ, როგორც კი ლიმიტი ამოიწურა, მითხრეს, რომ შვილი აღარ მყავდა.

განადგურებული დედა ვარ, მას მერე ვითხოვ სამართალს და დღემდე არ მაქვს პასუხი, რატომ მომიკლეს შვილი. უდავოა, კენჭი რომ ამოუღეს სადინარიდან, ჩავიდნენ იქ ლაპარასკოპიის აპარატით და ამ დროს ეტყობა ჩაეჭრათ სადინარი, დაუშვეს შეცდომა, ეს გამოეპარათ, არ მიაქციეს ყურადღება და პერიტონიტი განვითარდა, იდინა სისხლმა მთელ ორგანიზმში და ჩემი შვილი მოიწამლა ექიმების დაუდევრობით. მერე რასაც ისინი უკეთებდნენ, უკვე არაფერს აზრი აღარ ჰქონდა. მეორე ოპერაციაზე რომ შეჰყავდათ, დარწმუნებული ვარ, თვითონაც უკვე იცოდნენ, რა შეცდომაც ჰქონდათ დაშვებული. იცოდნენ, განწირული იყო ჩემი შვილი სიკვდილისთვის, გამოუწმინდეს სისხლი, მაგრამ ამან არ უშველა. მერე ყველაფერს აკეთებდნენ, რომ თავიანთი შეცდომა დაეფარათ.

საჩივარი შევიტანე პროკურატურაში, ვიჩივლე რეგულირების სამსახურში, მაგრამ ამ დრომდე სამართალს ვერ მივაღწიე. დამღუპა ამ ექიმების დაუდევრობამ, უცოდინრობამ და სხვა კიდევ ჩემსავით რომ არ დაღუპოს, მოვითხოვ სასწრაფოდ დადგეს ამ ექიმების პასუხისმგებლობა – თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს სამივე ექიმს – გიორგი ბოჭორიშვილს, თამარ გოგიჩაიშვილსა და გიორგი სიჭინავას სასწრაფოდ შეუჩერდეთ ექიმობის უფლება, მაგრამ დღემდე ჩემი ბრძოლის შედეგი არ ჩანს. ჭიანურდება რეგულირების სამსახურიდან პასუხების მიღება და ეს ექიმები ისევ აგრძელებენ მუშაობას და სხვა ოჯახების დაღუპვას.

ველოდები გამოძიებას, მითხრან, რას შეეწირა ჩემი შვილი და პასუხი აგებინონ დამნაშავე ექიმებს. არ ვაპატიებ, მათი შეცდომის და დაუდევრობის გამო გარდაიცვალა ჩემი 26 წლის შვილი და ობლად დარჩა მისი პატარა. ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე მუდმივად ვრეკავ, მაგრამ არავინ მაძლევს პასუხს, არც რეგულირების სამსახურიდან ჩანს პასუხი, არც სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროდან, არადა, ორი თვეზე მეტი გავიდა და ნუთუ ვერ უნდა გავარკვიო სიმართლე, ნუთუ ამ დრომდე არ უნდა დასჯილიყვნენ დამნაშავე ექიმები. გთხოვთ, დამეხმარეთ, რომ სამართალი ვიპოვო და დამნაშავე ექიმები აღმოჩნდნენ ციხეში.

ეთერს ჯანმრთელობის პრობლემა არასოდეს ჰქონია, თავისი ფეხით მივიდა სიცოცხლით სავსე გოგო კლინიკაში და მკვდარი წამოვიყვანეთ. ობლად დარჩა მისი 10 წლის შვილი. კატეგორიულად ვითხოვ სამივე ექიმის დასჯას.

❖ ❖ ❖

„ამბები“ დაუკავშირდა **თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოს,** რომელმაც წერილობით ეს პასუხი გასცა:

„პაციენტმა ჩვენი დაწესებულების გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტს მომართა ა/წ 18 ივნისს. შემოსვლისას აღენიშნებოდა მწვავე კალკულოზური ქოლეცისტიტი და მწვავე ქოლედოქოლითიაზი. პაციენტი მოთავსდა სტაციონარში და დაწყებულ იქნა შესაბამისი მკურნალობა, თუმცა, მდგომარეობა გაუარესდა და გარდაიცვალა 26 ივნისს.

შემდგომი დიაგნოზებისა და განხორციელებული მკურნალობის შესახებ დეტალებს ვერ მოგახსენებთ, რადგან გარდაცვალების მიზეზების დადგენის მიზნით მიმდინარეობს გამოძიება და შემთხვევას სწავლობს ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სააგენტო. გარდაცვლილს ჩაუტარდა პათანატომიური ექსპერტიზა, რომლის შედეგებიც ჩვენთვის უცნობია“.

საქმეში პროკურატურა ჩაერთო, დაიწყო გამოძიება. სამართალდამცავები ეთერ მეტივიშვილის გარდაცვალების დეტალებს არკვევენ.

# „არჩილ გაგნიძისადმი წარდგენილი ყველა ბრალდება ტყუილია“

## რას ამბობს თინათინ გაგნიძე



ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის განზრახ მკვლელობაში ბრალდებული არჩილ გაგნიძის დის თინათინ გაგნიძის განცხადებით, შემთხვევის ადგილზე მეორე დღეს მისი ძმა სხვებთან ერთად იმის გამო ჩავიდა, რომ დაკარგული პირი გურამ ამირხანაშვილი ეგონა.

ამასთან, თინათინ გაგნიძე ამბობს, რომ ოჯახი გამოძიებას არ ენდობა.

– ოჯახის წევრებს არ გვაქვს უფლება მტკიცებულებების ნაწილის გაგების, რატომღაც 23 ტომის გასაჯაროების შემდეგ მოინდომა პროკურატურამ დარჩენილი ტომების არგასაჯაროება.

ოჯახი გამოძიებას და პროკურატურას არ ვენდობით. ამის მიზეზი ბევრია, მაგალითად, წაშლილი გუგლ მეპის გადაადგილების ტრაექტორიაა, ასევე ჩემი ძმის მიერ მოთხოვნილ ექსპერიმენტზე უარის თქმა.

გუგლ მეპში 13 ივნისს ფიქსირდება ბოლო მონაცემი უცხო ლოკაციიდან, 18 და 19 ივნისის ლოკაციები რატომ აღარ არის? არჩილ გაგნიძე გამოძიებასთან პირველივე დღიდან თანამშრომლობდა. მან ჩააბარა ჩვენება, ანაწმენდი, გაურეცხავი ტანსაცმელი, ანაბეჭდი, მობილური ტელეფონი და ფეხსაცმელი. ჩემი ძმის მცხეთაში წასვლის მიზეზი იქ დარჩენილი ბავშვების და მანქანის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია იყო. ის წამოსაყვანად წავიდა, ჩასულს კი იქ არავინ დახვდა.

ის საქმის გასარჩევად არ წასულა, ისინი დასახმარებლად წავიდნენ, რადგანაც იქ ბავშვები იყვნენ, შეეშინდათ, რამე არ მომხდარიყო. ჩემი ძმა არავის იცნობდა ვასილ მახარაძის და ნიკოლოზ რევაზიშვილის გარდა. მეორე დღეს, არჩილი იქ მარტო არ ყოფილა. იქ იმის გამო წავიდნენ, ეგონათ ამირხანაშვილი, რომელიც წამოიყვანეს, დაკარგული იყო და სახლში არ იყო მისული. ვახო ჩიქოვანი მცხეთაში არავის წაუყვანია, ის თავისი ნებით წავიდა. იქ იმის გამო გაჩერდნენ, რომ ის ბავშვები ეგონათ ისინი, ვინც მათ უნდა წამოეყვანათ.

მსგავსი რამ ნებისმიერს შეიძლება დაემართოს და ამისგან დაზღვეული არავინაა. თუ დააკვირდებით ნიკოლოზ რევაზიშვილის გასაჯაროებულ კადრებს, იქ ჩანს, რომ ჩემი ძმა და ნიკოლოზ რევაზიშვილი სწრაფი ნაბიჯებით გაყვნენ მათ და შემდეგ გაჩერდნენ გზაზე, იქ უკვე ჩანს, რომ მიდიან თავიანთი ნებით. პროკურატურა ძალიან ბევრს რამეს ამბობს, თუმცა, არცერთი სიმართლე არ არის.

არჩილ გაგნიძეს არავისთვის არ შეუგინებია და მათ შორის, ფიზიკური შეურაცხყოფა არავისთვის მიუყენებია, ასე რომ, მის მიმართ წარდგენილი ბრალდება ყველა ტყუილია. ამირხანაშვილის ბოლო ჩვენება თავიდან ბოლომდე ფარსია, ის არის პროკურატურის სასარგებლოდ შედგენილი. იმას, რასაც პროკურატურა ამბობს, ფარსია, – განაცხადა თინათინ გაგნიძემ.

ის ასევე გამოეხმაურა პროკურატურის განცხადებას, რომლის მიხედვითაც, არჩილ გაგნიძეს ექსპერტიზის დროს ფრჩხილები დაჭრილი ჰქონდა.

– ჩემს ძმას ექსპერიმენტამდე ფრჩხილები არ დაუჭრია. არჩილს ფრჩხილი ზუსტად ზომაზე ჰქონდა. არც დაზარალებულსა და ამირხანაშვილს ჰქონდათ ფრჩხილები და მაშინ ის ბავშვებიც დამნაშავეები არიან? – განაცხადა გაგნიძემ.

**იპნ**

# თეონა თამაზაშვილი: „თამუნას მანქანა 4 დღე რომელიღაც ფარეხში იდგა“

გარდაცვლილი პროგრამისტის თამარ ბაჩალიაშვილის დედა თეონა თამაზაშვილი ვარაუდობს, რომ 4 დღის განმავლობაში მისი შვილის ავტომანქანა ფარეხში იდგა და იმ მინდორში, სადაც ის აღმოაჩინეს, არ იყო.

ამის შესახებ თამაზაშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ განაცხადა.

როგორც თამაზაშვილმა აღნიშნა, ავტომობილი მხოლოდ ოჯახის პროტესტისა და აქციის გამართვის შემდეგ გამოაჩინეს.

– იმ დღეებში თამუნას ავტომობილი იქ ნამდვილად არ იყო. გარკვეული ინფორმაცია მაქვს. სავარაუდოდ, რომელიმე ფარეხში იყო. როდესაც გავაჟღერე და მოვუწოდე ხალხს, მოდით, დამეხმარეთ სახლებში მოძებნაში, მივხვდი, რომ არ მიდიოდა სათანადოდ ძებნა. იძულებული ვიყავი, აქცია მომეწყო. მეორე დღეს უკვე მოხალისეთა ჯგუფები იქმნებოდა, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი მოსვლის და დახმარების. აღვნიშნე ფაქტად, რომ ვინც არ შეგვიშვებდა სახლში და არ დაგვათვალიერებინებდა ავტოფარეხს ე.ი. საეჭვო იქნებოდა ეს გარემოება და ამით უფრო მივხვდებოდით, სად უნდა გვეძებნა მანქანა. ამიტომ იძულებული გახდნენ, სააშკარაოზე გამოეტანათ და დაეგდოთ ეს მანქანა ტრიალ მინდორზე, რომ თითქოს მანქანა იქ ვერავინ იპოვა 4 დღის განმავლობაში, – განაცხადა თეონა თამაზაშვილმა.

თამარ ბაჩალიაშვილი 18 ივლისს გაუჩინარდა. ის 5-დღიანი ძებნის შემდეგ თეთრიწყაროს ტყესთან, საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს. ბაჩალიაშვილის საქმეზე გამოძიება თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით დაიწყო, შემდეგ კი ბრალდების კვალიფიკაციას თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლი დაემატა.

# ცაგერის მუნიციპალიტეტის 2 სოფელში პოლიციის სპეციალური საკონტროლო პუნქტები მოეწყო

საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, კოვიდ 19-ის გავრცელების პრევენციისა და მოქალაქეთა აქტიური მონიტორინგის მიზნით, ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლებში ორბელსა და ლაჯანაში შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების ორგანიზებით პოლიციის სპეციალური ინფრასტრუქტურა მოეწყო და საკონტროლო პუნქტები ამოქმედდა.

უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკის გამო ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლებში – ორბელსა და ლაჯანაში შემსვლელ და გამომსვლელ ყველა მოქალაქეს ადგილზე ჩაუტარდება პირველადი თერმოსკრინინგი და ტესტირება. პოლიცია, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის თანამშრომლებთან ერთად, აღნიშნულ დასახლებებში შემსვლელი და გამომსვლელი მოქალაქეების სავალდებულო თერმოსკრინინგსა და ტესტირების პროცესს აქტიურ რეჟიმში, 24 საათის განმავლობაში გაუწევს მონიტორინგს.



აღსანიშნავია, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლებში შესვლა-გამოსვლა არ იზღუდება და არ წესდება სხვა მკაცრი საკარანტინო შეზღუდვები.

სამართალდამცველები ადგილობრივ მოსახლეობას ვირუსის გავრცელების აღმოსაფხვრელად მიმდინარე პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას მიაწვდიან და, საჭიროების შემთხვევაში, მათ მაქსიმალურად დაეხმარებიან.

# ნუცუბიძეზე მანქანა დაიწვა



9 სექტემბერს, გვიან ღამით, ნუცუბიძის მეოთხე პლატოზე მანქანას ცეცხლი გაუჩნდა.

მძღოლმა ავტომობილიდან გადმოსვლა დროულად მოახერხა და შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ცეცხლი იმდენად ძლიერი იყო, რომ სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახება გახდა საჭირო.

სავარაუდოდ, ავტომანქანას ცეცხლი გაუმართაობის გამო

# მარია კოლესნიკოვა: „თავზე ტომარა ჩამომაცვეს და მოკვლით დამემუქრნენ“



ბელარუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის მარია კოლესნიკოვას განცხადებით, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა თავზე ტომარა ჩამოაცვეს, მოკვლით დაემუქრნენ და ამ გზით ცდილობდნენ მის უკრაინაში გაძევებას.

„მითხრეს, რომ თუკი ბელარუსის რესპუბლიკას ნებით არ დავტოვებდი, მაინც გამაგდებდნენ ცოცხალს ან ნაკუწებად დაჭრილს. ასევე იყო მუქარა 25 წლამდე ვადით პატიმრობის შესახებ“, – აღნიშნულია კოლესნიკოვას განცხადებაში, რომელიც მისმა ადვოკატმა გაავრცელა.

ადვოკატის ინფორმაციით, ოპოზიციონერი პოლიტიკოსი, რომელიც ახლა მინსკში წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება, ბელარუსის ხელისუფლების წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებს.

# „ჩვენ ნატო არ გვინდა, მხოლოდ ლუკაშენკოს გაშვება გვსურს“

## სვეტლანა ტიხანოვსკაია პოლონეთის პრემიერს შეხვდა

ბელარუსული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, ამჟამად ვილნიუსში მცხოვრები სვეტლანა ტიხანოვსკაია ვარშავში ჩავიდა. ის პოლონეთის პრემიერმა მორავეცკიმ მიიღო. ტიხანოვსკაიამ ბელარუსული სახლის გახსნის საზეიმო ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა. პოლონეთმა ბელარუსებს ტუნისის საელჩოს ყოფილი შენობა გადასცა.

შემდეგ ტიხანოვსკაია ვარშავის უნივერსიტეტს ესტუმრა. სტუდენტებთან და ლექტორებთან შეხვედრისას მან განაცხადა, რომ ბელარუსში დემოკრატიული რევოლუცია მიმდინარეობს. ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბელარუსებს ევროკავშირსა და ნატოში სურთ შესვლა, სინამდვილეს არ შეესაბამება.

– ჩვენ მხოლოდ ლუკაშენკოს დიქტატორული რეჟიმის მოშორება გვსურს, – თქვა ტიხანოვსკაიამ.



ევროსაბჭოს ყოფილმა თავმჯდომარე დონალდ ტუსკმა განაცხადა, რომ სვეტლანა ტიხანოვსკაია და მისი ქმარი სერგეი (ეს უკანასკნელი ახლა მინსკის ციხეში იმყოფება) სავსებით იმსახურებენ იმას, რომ ნობელის პრემიაზე წარადგინონ.

ტიხანოვსკაიამ ტუსკს საჯაროდ მადლობა გადაუხადა. მან კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ბელარუსის რევოლუცია მშვიდობიანია.

– ლუკაშენკო ძალისმიერი მეთოდებით გვებრძვის! ჩვენს მომხრეებს სცემენ, შეთითხნილი ბრალდებებით ციხეში სვამენ. მიუხედავად ამისა, ჩვენ მშვიდობიან ბრძოლას განვაგრძობთ! ის, რაც კიევის მაიდანზე მოხდა, ბელარუსში არ განმეორდება, – ამტკიცებს ტიხანოვსკაია.

# პომპეო: „ნავალნი რუსეთის ხელისუფლებამ მოწამლა!“



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ აშშ და ევროკავშირი ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ნავალნიზე თავდამსხმელთა ზუსტი ვინაობა დაადგინონ.

– სავარაუდოდ, დანაშაულის ორგანიზატორი რუსეთის ხელისუფლებაა. წესიერი სახელმწიფოები ასე არ იქცევიან, – განაცხადა პომპეომ.

მართალია, აშშ-ის სახელმწიფო მდივანს რუსეთისთვის პირდაპირ არ დაუდვია ხელი, მაგრამ ეს პირველი შემთხვევა, როდესაც თუნდაც ვარაუდის დონეზე მოსკოვს ბრალი დასდეს. აქამდე როგორც აშშ, ისე ევროპა რუსეთს ნავალნიზე თავდასხმის გამოძიებას სთხოვდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ციხის ზედამხედველი მოძალადე პატიმართან სექსისთვის ციხეში აღმოჩნდა



ლონდონის პენტონვილის მამაკაცებისთვის განკუთვნილი ციხის ზედამხედველი ქალი გისოსებს მიღმა იმის გამო აღმოჩნდა, რომ მოძალადე პატიმართან სექსი ჰქონდა.

ციხის 26 წლის თანამშრომელმა, რომლის ვინაობა გასაიდუმლოებულია, თავის სამუშაო ადგილზე ინტიმური კავშირი დაამყარა 27 წლის დამნაშავე დიმეკ ამურთან. ამის თვითმხილველი გახდა ქალის კოლეგა და პოლიციასაც სწორედ მან შეატყობინა.

– პერსონალი მათ სწორედ ინტიმური კავშირის დროს დაადგა თავს, – ამტკიცებს ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემასთან საუბარში ანონიმი პირი.

2012 წელს დიმეკ ამურს 29 წლის ქალის გაუპატიურებისთვის ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

# გოგონამ ბოიფრენდის სპორტკარი პირველივე პაემნის შემდეგ დაამტვრია

ამერიკის ვისკონსინის შტატში გოგონამ თავისი ახალი ბოიფრენდის სპორტული მანქანით თავის ყოფილ მეგობარ მამაკაცთან ერთად გაისეირნა და ავარია მოახდინა.

ოსტინ გრები ამტკიცებს, რომ თავისი თეთრი ნისანის მარკის სპორტკარი ათხოვა გოგონას, რომლის ვინაობის დასახელება არ ისურვა, და მან ეს მათი პირველი პაემნიდან მეორე დღეს გააკეთა. მისი თქმით, 22 წლის გოგონამ მას მანქანა იმისთვის სთხოვა, რომ სასწრაფოდ მისულიყო მშობლების სახლში, მაგრამ სინამდვილეში თავის ყოფილ მეგობართან წავიდა.

იმავე დღეს ის მანქანით რკინაბეტონის კედელს შეასკდა და გრებს მისწერა: „მე შენი მანქანა დავამტვრიე“. ამის შემდეგ ის ბოიფრენდის ტელეფონის ზარებს აღარ პასუხობდა. სპორტული ავტომობილის მფლობელმა პოლიციის სამ განყოფილებაში დარეკა და ბოლოს, როგორც



იქნა, გაიგო, თუ სად მოხდა ავარია. მან მალე შეიტყო, რომ მანქანის წინა ნაწილი სრულიად დაზიანებულია, სალონი სისხლითაა მოთხვრილი, ხოლო მის ნაცნობს კბილები აქვს ჩამტვრეული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# პრინცმა ჩარლზმა პრინც ჰარისა და მეგან მარკლს ფულის მიცემა შეუწყვიტა



პრინცმა ჩარლზმა თავის შვილს პრინც ჰარისა და მის მეუღლე მეგან მარკლს ფინანსური დახმარება შეუწყვიტა.

მეგან მარკლისა და პრინც ჰარის აშშ-ში გადასვლის შემდეგ პრინცი ჩარლზი მიმდინარე ხარჯებისთვის მათ ფულს აძლევდა. ინფორმირებული წყარო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამასთან, მას მათი ოჯახის დაცვის დაფინანსება არ უწევდა, ვინაიდან ეს ხარჯები მეგანმა და ჰარიმ თავიდანვე საკუთარ თავზე აიღეს.



# ჰანოვერის პრინცი მოსამსახურის მიმართ მუქარის გამო დააპატიმრეს

პრინცი ერნსტ აუგუსტ V ჰანოვერელი ავსტრიაში მოახლე ქალის მიმართ მუქარისთვის დააპატიმრეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრინცს მოახლის სიარულის მანერა არ მოსწონდა.

ორშაბათს, 7 სექტემბერს, ადგილობრივი დროით დაახლოებით საღამოს 5 საათზე, პოლიციამ ალყა შემოარტყა 66 წლის პრინცის სანადირო სახლს, რომელიც ზემო ავსტრიის ფედერალურ მიწაზე მდებარეობს.

პოლიციელები ადგილზე ჰანოვერების დინასტიის მეთაურის მოსამსახურის სატელეფონო ზარის შედეგად მივიდნენ. მან სამართალდამცავებს შესჩივლა, რომ ერნსტ აუგუსტი დაემუქრა, რომ მას და მის ქმარს, თუ ისინი სახლში სრულიად უხმაუროდ არ ივლიდნენ, „მკვლელებს“ მიუგზავნიდა.

გარდა ამისა, პრინცმა მიწიდან ამოგლიჯა საგზაო ნიშანი და მათი ბინის ფანჯარა ჩაამსხვრია.

ჰანოვერების დინასტიის მეთაური სამართალდამცავებმა დააკავეს და ქალაქ ველსის გამოსასწორებელ დაწესებულებაში გადაიყვანეს.

# პატარძალმა სტუმრების თვალწინ ჩხუბი გამართა

დიდ ბრიტანეთში, უელსის ქალაქ სუონსიში, საქორწინო კაბაში გამოწყობილმა პატარძალმა გაოგნებული სტუმრების თვალწინ ჩხუბი გამართა. ამის ამსახველი თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთ ინგლისურ პორტალზე გამოქვეყნდა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ გდია გაზონზე მდიდრულ საქორწინო კაბასა და ფატაში გამოწყობილი პატარძალი და ვიღაცას ეჩხუბება. წინა პლანზე მოჩანს სხვა ქალი, სავარაუდოდ, პატარძლის მეგობარი, რომელიც, ნასვამი, ასფალტზე წევს და სძინავს.

– დიახ, ეს ნამდვილად პატარძლის ჩხუბია ბალახზე, – დაწერა კომენტარში ვიდეოს ავტორმა.

# მეუღლის საჩუქარმა ქალი გაამდიდრა



ავსტრალიის ქალაქ მელბურნის მკვიდრმა ქალმა ლატარიაში ჯეკპოტი მეუღლის მიერ დაბადების დღეზე ნაჩუქარი ბილეთის წყალობით მოხსნა.

ქალმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ ის და მისი მეუღლე ხშირად მონაწილეობენ ლატარიის გათამაშებებში, ქმარმა კი გადაწყვიტა, რომ მომენტალური ლატარიის ბილეთი დაბადების დღეზე ეჩუქებინა.

– როდესაც მან ბილეთი მომცა, ხუმრობით მითხრა, რომ ეს ბილეთი გამამდიდრებდა. მეორე დღეს მე მას იგივე ბილეთი მივეცი და ვუთხარი: „მამის დღეს გილოცავ! ეს ბილეთი შენც გაგაბედნიერებს, – იხსენებს ქალი.

შაბათს, 5 სექტემბერს გამართული გათამაშების შედეგად აღმოჩნდა, რომ ქალის ბილეთმა ხუთი მთავარი პრიზიდან ერთ-ერთი, ოთხი მილიონი ავსტრალიური დოლარი მოიგო.

– მომხდარი დღემდე ვერ დამიჯერებია და მანამდეც ვერ დავიჯერებ, სანამ საკუთარ საბანკო ანგარიშს არ ვნახავ, – განაცხადა ავსტრალიელმა. მისივე თქმით, ის მოგებული თანხის ნაწილით სახლის შეკეთებასა და მეუღლესთან ერთად ტროპიკებში სამოგზაუროდ წასვლას აპირებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

საზოგადოება

# ბათუმის თეატრში „ჰელადოსის“ პრემიერა გადაიდო




ბათუმის დრამატულ თეატრში ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „ჰელადოსის“ მიხედვით ამავე სახელწოდებით დადგმული სპექტაკლის პრემიერა გადაიდო:

– სპექტაკლ „ჰელადოსის“ საპრემიერო ჩვენებები, რომლებიც 11, 12 და 13 სექტემბერს უნდა გამართულიყო, აჭარაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მიზეზით რამდენიმე დღით გადაიდო. გვესმის, რომ საპრემიერო ჩვენებებს ელიან ჩვენი თეატრის ერთგული მაყურებელი, სპექტაკლში მოთამაშე მოსწავლეთა მშობლები, ოჯახის წევრები, სკოლა და განსაკუთრებით სპექტაკლში დაკავებული არტისტები, შემოქმედებითი ჯგუფი. სამწუხაროა, რომ დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენ გვიხდება, რამდენიმე დღით გადავდოთ პრემიერა, – ნათქვამია თეატრის ოფიციალურ განცხადებაში.

# ქართული მუსიკის ფესტივალი არტოს ბაღში გაიმართება

არტოს ბაღში ქართული მუსიკის ფესტივალი „მუსკივრი“ გაიმართება და 3 დღის განმავლობაში სცენაზე ერთმანეთს ცნობილი ქართველი ხელოვანები შეენაცვლებიან.

14, 15 და 16 სექტემბერს მსმენელი უკვდავ მელოდიებს მოისმენს. ფესტივალს გახსნიან ნიკა ნიკვაშვილი და ოპერისა და ბალეტის ორკესტრის მუსიკოსები, რომლებიც ქართულ კინომუსიკასა და ქართულ პოპულარულ თემებს ააჟღერებენ.

15 სექტემბერს მსმენელის წინაშე წარდგებიან ეკა მამალაძე, ნუკრი კაპანაძე, ნინო გულიაშვილი, ანსამბლი „ფორტე“, თეატრალურის კვარტეტი, ლევან დეისაძე, პაატა ანდრიაძე, ზაზა ცერცვაძე, ირაკლი მენთეშაშვილი და დათო ჯაფარიძე.

ფესტივალის დახურვის დღეს, 16 სექტემბერს კი ფესტივალზე იმღერებენ ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, ქართული ხმების ტრიო, ქვინთენსი, ლუკა თოფურია.

– ამ ფესტივალზე გელოდებათ ქართული მუსიკის ზეიმი. ფესტივალი „მუსკივრი“ დაფუძნდა 2020 წელს. წელს ჩვენი საპრეზენტაციო წელია. ჩვენი სურვილი და მიზანია ქართული მუსიკის მაქსიმალური პოპულარიზაცია. წლევანდელ ფესტივალზე შესრულდება ქართული მელოდიები, ის სიმღერები და კომპოზიციები, რომლებიც ასე ძალიან გვიყვარს, გვენატრება. ფესტივალის სახელწოდებაც „მუსკივრი“ ამას გვკარნახობს, მუსიკალური სკივრი, სადაც ინახება შედევრები, რომლებიც აქტუალობას არასდროს კარგავენ. მომდევნო წლიდან გვსურს და ვგეგმავთ, რომ ამ უკვდავი მელოდიების გარდა, სკივრი ავავსოთ ახალი ქართული მელოდიებით, ახალი სახელებითა და სახეებით. გვაქვს იმედი, რომ ფესტივალს ბევრი მაყურებელი ეყოლება.

არტოს ბაღში ასევე გაიმართება ქართველი მხატვრებისა და დიზაინერების ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენები. მობრძანდით, ისიამოვნეთ, იმოგზაურეთ ქართული მუსიკის სამყაროში, – აცხადებენ ფესტივალის ავტორები ბაკურ ბაკურაძე და ქეთი გაბისიანი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# კლოდ სორელი: „ახლა საქართველოს ნაკრები ისვენებს“

ქართული რაგბის მოყვარულებს კლოდ სორელი კარგად უნდა ახსოვდეთ. 72 წლის სპეციალისტი 1997-2003 წლებში ჩვენს ეროვნულ გუნდს წვრთნიდა. სწორედ მას უკავშირდება „ბორჯღალოსნების“ პირველი წარმატება – 2001 წელს გუნდმა ისტორიაში პირველად მოიგო ევროპის ერთა თასი, ხოლო 2003 წელს ისტორიაში პირველად ითამაშა მსოფლიოს თასზე.

საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი ფრანგულ მედიას ესაუბრა, რომლის მთავარი თემა „ბორჯღალოსნების“ ახალი პერსპექტივა – 8 ერის ტურნირი იყო. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სორელი ქართულ რაგბიში მშვენივრად ერკვევა და საინტერესო საკითხებს შეეხო.

***– საქართველო 8 ერის ტურნირზე იაპონიის ნაცვლად ითამაშებს.***

– საქართველო საოცნებო ტურნირში ზუსტად იმ დროს ერთვება, როცა ადგილობრივ რაგბის კავშირში პოლიტიკური ცვლილებებია. არჩევნები კარგა ხანია, უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ რამდენიმეჯერ გადაიდო. ახლა კავშირს სპორტის სამინისტროს მიერ დანიშნული ჩინოსანი დროებით მართავს. სავარაუდოდ, არჩევნები დეკემბერში ჩატარდება.

***– რა იცით დღევანდელ საქართველოს ნაკრებზე, რომელიც სულ მალე 8 ერში უნდა ჩაერთოს?***

– ნაკრები საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ არის. გუნდი აღდგენის პროცესშია. გუნდიდან ახალზელანდიელი მწვრთნელი წავიდა, ახლის მოსვლამდე კი გუნდს ადგილობრივები ავარჯიშებენ, მაგრამ მათ საკმაოდ მაღალი კვალიფიკაცია გააჩნიათ. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ საქართველოს ნაკრებში აღმასვლის ფაზაა.

***– ანუ საქართველომ განვითარების დინამიკა დაკარგა?***

– მასეც არ არის, საერთო დინამიკა შენარჩუნებულია, უბრალოდ, მოთამაშეები ძალიან დაზარალდნენ კორონავირუსის პანდემიის გამო. მთავრობა ძალიან ფრთხილობდა, ქვეყანა ჩაკეტილი იყო. შედეგი შესანიშნავი იყო – 4.5-მილიონიან ქვეყანას მხოლოდ 17 გარდაცვლილი ჰყავდა კორონავირუსით. ერთია, სპორტსმენები ვერ ახერხებდნენ ნორმალურად ვარჯიშს.

***– როგორც ვიცით, ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატი შეწყდა და არ განახლებულა.***

– დიახ ასეა. ახალი სეზონი ახლახან დაიგეგმა.

***– თქვენ, როგორც ყოფილი თავკაცი, რას ფიქრობთ, როგორ დაკომპლექტდება ნაკრები ამ ტურნირისთვის?***

– ვფიქრობ, ნაკრების ორი მესამედი კვალიფიციური მორაგბეებისგან დაკომპლექტდება, რომლებიც ფრანგულ ტოპ 14-ში და პრო დ2-ში თამაშობენ. არ დავივიწყოთ არც ფედერალ 1.

***– რა დონეზე დააყენებდით ახლანდელ ეროვნულ ნაკრებს?***

– ახლა საქართველოს ნაკრები ცოტა უფრო სუსტია, ვიდრე იტალიის ნაკრები. ნაკრები თავიდან უნდა აღორძინდეს. რომ შევადაროთ კიბეზე აღმასვლას, ახლა საქართველოს ნაკრები კიბის საფეხურების ავლის მერე ისვენებს. ამის გარდა, ფედერაციაში ფინანსური პრობლემებია. რომ გქონდეთ წარმოდგენა, საქართველოში რაგბის წლიური ბიუჯეტი 4 მილიონი ევროა, ეს კი საშუალოდ ფედერალ 1-ის ერთი კლუბის ბიუჯეტია.

***– შესაძლოა, 8 ერში საქართველოს გამოსვლა საჭირო ბიძგი გახდეს ქართული ფედერაციისთვის, რომელიც ათწლეულზე მეტია, ამ შანსს ელოდა?***

– 6 ერის გუნდებთან, რომელთაც ფიჯიც ემატება, თამაში, შესაძლოა, გახდეს წარმატებული ქართული რაგბისთვის ფინანსური კუთხით. ამ შემთხვევაში, ქართველები აუცილებლად რამე კარგს მოიფიქრებენ. 6 ერის მხრიდან ეს დიდსულოვნება და ალტრუიზმი აუცილებლად დაფასდება.



***– შეგიძლიათ იმის წარმოდგენაც, რომ 6 ერის ორგანიზაცია საქართველოს სრულფასოვან მიღებაზე დაფიქრდეს?***

– ნოემბრის ტურნირმა შეიძლება გააჩინოს ასეთი იდეა. არაფერი მსგავსი არ მოხდებოდა, რომ არა კოვიდ 19. ეს მოულოდნელი შანსია საქართველოსთვის, რათა თავი გამოიჩინოს და დაამტკიცოს, რომ ქართული რაგბი უკვე იმ დონეზეა, რომ სულ მალე შეძლებს 6 ერის ტურნირს შეუერთდეს, მაგრამ მაინც, ვშიშობ, რომ ეს ძალზე რთული პროცესი იქნება.

***– თქვენ ერთ-ერთი იმათგანი ხართ, ვინც ფიქრობს, რომ საუკეთესო შანსი მათ რამდენიმე წლის წინ ჰქონდათ?***

– 2003-დან 2008 წლამდე პერიოდი ყველაზე ხელსაყრელი დრო იყო ევროპულ ელიტაში ასასვლელად. იმ დროს საქართველოს ნაკრებს ბევრი მაღალი დონის მორაგბე ჰყავდა და იტალიასთან კონკურირებაც შეეძლო. მაგრამ იმედს არ ვკარგავ! საქართველოში სარაგბო სკოლები მუდამ სავსეა ბავშვებით, მათი აღზრდა მაღალ დონეზე მიმდინარეობს. უკვე ცხადია, რომ ის ახალგაზრდა მოთამაშეები, რომლებიც ნაკრებში გამოჩნდნენ, ძალიან სწრაფად პროგრესირებენ, მათ სულ სხვა შესაძლებლობები აქვთ.

# ლოკომოტივმა მოსკოვის დინამომდე ჩიხურა დაამარცხა

**ლოკომოტივი-ჩიხურა 4:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

**1:0 გავაშელიშვილი (21), 1:1 ბუხაიძე (35), 2:1 დ.კირკიტაძე (66), 3:1 სანდოხაძე (78), 4:1 სიხარულიძე (86)**

**ლოკომოტივი**: შეროზია, გურეშიძე, ჭანტურია (კობახიძე 57), სანდოხაძე, გაბაძე (მჭედლიშვილი 79), უბილავა, შონია, იმრანი, თ.კირკიტაძე (დ.კირკიტაძე 60), გავაშელიშვილი, სიხარულიძე

**ჩიხურა**: ბეგაშვილი, კაშია, ჯაფიაშვილი, კორიფაძე, ჯავაშვილი, ჩიკვაიძე, გვაზავა (კახაბრიშვილი 68), წიქარიძე (კიკაბიძე 71), ბერეზოვი, დეკანოიძე, ბუხაიძე (ლავთაძე 80)

თბილისის ლოკომოტივმა ეროვნული ლიგის მე-11 ტურში საჩხერის ჩიხურა მიიღო და დიდი ანგარიშით დაამარცხა. ეს მატჩი შედარებით ადრე ჩატარდა, რადგან ლოკოს 17 სექტემბერს მნიშვნელოვანი თამაში ელის ევროპის ლიგაზე, სადაც მოსკოვის დინამოს უმასპინძლებს.

გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა ზემოიმერლებთან შეხვედრა გადახალისებული შემადგენლობით ჩაატარა. ლოკომოტივის რამდენიმე ფეხბურთელი ორ ასაკობრივ ნაკრებში იყო გამოძახებული.

შეხვედრის პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და შედეგიც შესაბამისი დაფიქსირდა. მასპინძლებმა ანგარიში 21-ე წუთზე მამია გავაშელიშვილის მიერ გატანილი გოლით გახსნეს. 35-ე წუთზე წონასწორობა გიორგი ბუხაიძემ აღადგინა. შესვენებაზე გუნდები საყაიმო ანგარიშით გავიდნენ.

მეორე ტაიმი დედაქალაქელთა სრული უპირატესობით წარიმართა. შესაბამისად, ლოკომოტივმა მეტოქეს 3 უპასუხო გოლი გაუტანა და 3 ქულაც მოიპოვა. გოლები დათო კირკიტაძემ, ნიკა სანდოხაძემ და ირაკლი სიხარულიძემ გაიტანეს.

11 ტურის შემდეგ ლოკომოტივს 16 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილში მე-5 ადგილზეა, ჩიხურა კი 5 ქულით მე-9 პოზიციაზე.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 10 | 5 | 5 | 0 | 18-6 | 20 |
| 2.დინამო (თბ) | 10 | 5 | 4 | 1 | 16-4 | 19 |
| 3.საბურთალო | 10 | 5 | 4 | 1 | 19-9 | 19 |
| 4.დილა | 10 | 5 | 4 | 1 | 17-7 | 19 |
| 5.ლოკომოტივი | 11 | 4 | 4 | 3 | 15-15 | 16 |
| 6.თელავი | 10 | 2 | 7 | 1 | 9-6 | 13 |
| 7.ტორპედო | 10 | 2 | 3 | 5 | 8-16 | 9 |
| 8.სამტრედია | 10 | 2 | 3 | 5 | 7-16 | 9 |
| 9.ჩიხურა | 11 | 1 | 2 | 8 | 10-28 | 5 |
| 10.მერანი | 10 | 0 | 4 | 6 | 4-16 | 4 |

# გერმანია იმედგაცრუებულია

გერმანიის ნაკრებს ერთა თასზე მოგება არ აქვს. გუნდმა 2 მატჩი გამართა და ორივე ერთნაირი ანგარიშით დაასრულა – ჯერ ესპანეთთან და შემდეგ შვეიცარიასთან (ორივე 1:1) დაზავდა. ბუნდესტიმის მთავარი მწვრთნელი იოაჰიმ ლიოვი შედეგები უკმაყოფილოა.



**იოაჰიმ ლიოვი:**

– როგორც ესპანეთთან მატჩში, ისე შვეიცარიასთან მე-2 გოლის გატანა დავიმსახურეთ, რაც მეტ თავდაჯერებულობას მოგვცემდა. მოწინააღმდეგე თამაშში თავად დავაბრუნეთ, ბურთი ძალიან ბევრჯერ დავკარგეთ და საკმარისი სიხისტე ვერ გამოვიჩინეთ. ასე რომ, შედეგი კანონზომიერია. ზედიზედ 2 მატჩში ანგარიში მიგვყავდა, თუმცა გამარჯვება ვერ მოვახერხეთ. ეს კი შემაშფოთებელია. ოქტომბერში დაგეგმილ თამაშებში კვლავ შეტევებზე ვიქნებით ორიენტირებული.

აშკარაა, რომ ფეხბურთელების ნაწილი კარგ ფიზიკურ ფორმაში არ იმყოფება. ახლა ჩვენი პრობლემა ის არის, რომ თამაშებს ჩვენს სასარგებლოდ ვერ ვასრულებთ. პირველ ტაიმში 2-3 შესანიშნავი მომენტი გვქონდა. მათი გამოყენება გვმართებდა, ამის შემდეგ შვეიცარია თამაშში ნამდვილად ვერ დაბრუნდებოდა.

დაახლოებით იმავეს ფიქრობს გერმანიის ეროვნული ნაკრების კაპიტანი ტონი კროოსიც:

– სამწუხაროდ, ეს შვეიცარიასთანაც იმავე სცენარით განვითარდა, როგორითაც ესპანეთის ნაკრებთან. აგრესიული პრესინგის დროს უკეთ თამაშში გვმართებს. აუცილებელია ამ ასპექტზე ყურადღების გამახვილება. გვჭირდება ფეხბურთელები, რომლებიც პრესინგის დროსაც ბურთს შეინარჩუნებენ. აღსანიშნავია, რომ შეტევის დროს ძალიან ხშირად ვკარგავთ ბურთს. ამ ყველაფერმა საბოლოოდ გაშვებულ გოლამდე მიგვიყვანა. 6-დან 2 ქულა – ეს, რა თქმა უნდა, იმედგაცრუებას იწვევს.

# ჯოკოვიჩმა მსაჯს მხარი დაუჭირა



როგორც იცით, სერბი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩი აშშ-ის ღია პირველობიდან მოკვეთეს. შეგახსენებთ, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ესპანელ პაბლო კარენო ბუსტასთან შეხვედრისას ემოციები ვერ მოთოკა, ბურთი კედლისკენ გაგზავნა და დამხმარე მსაჯს მოარტყა. ქალი არბიტრი ძირს დაეცა, ნოვაკი მაშინვე ბოდიშის მოსახდელად მივარდა, მსაჯი კი მალე მოასულიერეს და ტრავმასაც გადაურჩა, მაგრამ სერბი აგრესიული ქმედებისთვის ტურნირიდან მოხსნეს.

ჯოკოვიჩის ფანები მომხდარის გამო გაბრაზებული არიან და ამერიკელ მსაჯს სოციალურ ქსელებში ლანძღავენ. 33 წლის ჩოგბურთელი სკანდალს კიდევ ერთხელ გამოეხმაურა, ამჯერად სოციალური ქსელით:

– მადლობა თქვენი პოზიტიური შეტყობინებებისთვის, მაგრამ, გთხოვთ, იფიქროთ იმაზეც, რომ საზოგადოების მხარდაჭერა მსაჯსაც სჭირდება, რომელსაც ბურთი მოხვდა. მას აბსოლუტურად არაფერი დაუშავებია. გთხოვთ, გაამხნევოთ და მხარდაჭერა გამოუცხადოთ. სწორედ ასეთი მომენტები გვაძლიერებს და გვზრდის.

# ლაპორტა პრეზიდენტობისთვის იბრძოლებს



ბარსელონის ყოფილმა პრეზიდენტმა ჟოან ლაპორტამ დაადასტურა, რომ ის მომდევნო არჩევნებზე კლუბის სათავეში დაბრუნებისთვის იბრძოლებს.

საიდუმლო არ არის, რომ ლაპორტა ამჟამინდელი ხელმძღვანელობის ოპოზიციაშია. ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციით, ის 2 ვარიანტს განიხილავდა – პრეზიდენტობისთვის ბრძოლასა და სხვა კანდიდატის მხარდაჭერას. როგორც ლაპორტამ მედიასთან საუბრისას განაცხადა, არჩევანი პირველ ვარიანტზე გააკეთა.

ჯერჯერობით უცნობია, როდის გაიმართება ბარსელონის საპრეზიდენტო არჩევნები. ამჟამინდელმა ხელმძღვანელობამ მარტში ჩანიშნა, მაგრამ ახლა ხოსეპ მარია ბართომეუს უნდობლობის საკითხის აღძვრა აქტუალური თემაა და, თუ პრეზიდენტს იმპიჩმენტი გამოუცხადეს, არჩევნები უფრო ადრე ჩატარდება.

ჟოან ლაპორტა ბარსელონის პრეზიდენტი 2003-10 წლებში იყო და ის ამ პოსტზე მყოფთა შორის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესოა. სწორედ მის სახელს უკავშირდება გუნდში ჯერ ფრენკ რაიკაარდისა და რონალდინიოს, შემდეგ კი პეპ გვარდიოლას მიყვანა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## შედეგები

**9 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰელსინბორგი-კალმარი ................ 1:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

მარიეჰამნი-ლახტი ........................ 2:2
კუუპიო-როვანიემი ....................... 3:0
სეინეიოკი-ინტერი ........................ 3:2
ტპს-ჰაკა ....................................... 2:3
ჰონკა-ილვესი ............................... 3:2

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**

**კაცები**

რუბლიოვი-მედვედევი ..... 6:7,3:6,6:7
დე მინაური-ტიმი ............. 1:6,2:6,4:6

**ქალები**

პირონკოვა-ს.უილიამსი ... 6:4,3:6,2:6
აზარენკა-მერტენსი ................6:1,6:0

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. მხარე ავსტრიაში; 2. სანადირო თოფით სასროლი მსხვილი საფანტი; 3. პირველი ქართველი ალპინისტი ქალი; 4. პიგმენტაციადარღვეული ადამიანი; 8. ქართველი მხატვარი; 9. ზღვის კომბოსტო; 11. ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა ვაჭრობაში; 12. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 16. ენაჩლუნგობა; 17. ტბა დუშეთის რაიონში; 19. მეტისმეტად გულგრილი, აუღელვებელი ადამიანი; 21. მთავარი ქუჩა ტოკიოში.

**თარაზულად**: 5. უბანი ქუთაისში; 6. ღუზის ამოსაზიდი ჯალამბარი გემზე; 7. ზღვისპირა კურორტი გურიაში; 10. დაბალი საამო ხმით მღერა; 13. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 15. ძველი ბერძნების წარმოდგენით, ცის ყველაზე მაღალი ნაწილი, სადაც წმინდანები ცხოვრობდნენ; 18. ფრანგული სამხედრო-მოიერიშე თვითმფრინავების სერია; 20. პატარა არია ოპერაში; 22. მადის მოსაყვანი მცირე ალკოჰოლიანი სასმელი; 23. დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა; 24. რაიონული ცენტრი გურიაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გარინჩა; 2. ჰეპატიტი; 3. ესკიმო; 5. კალევალა; 7. მცონარა; 9. მურვანიძე; 13. მისტიკა; 15. ორფოლო; 16. შულერი; 18. ვაიდა.

**თარაზულად:** 4. ბარაკონი; 6. კლემენსი; 8. ცივილიზაცია; 10. ჭანჭური; 11. რომი; 12. დრაივი; 14. ტონგა; 17. გნომი; 19. ოფური; 20. აერობუსი; 21. ეტლი; 22. პორტვეინი; 23. ცანგალა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პოლისი; 2. აგვისტო; 3. ბახთიარი; 4. პროგრესი; 8. კეტაშვილი; 9. მითრიდატე; 11. კრახუნა; 12. აბიო; 14. ელია; 16. ჩხოროწყუ; 17. ზაკოპანე; 19. ტირადა; 21. პიეტა.

**თარაზულად:** 5. ლაშარელა; 6. ავადჰარა; 7. ექსპანსია; 10. ჩარექა; 13. პათოსი; 15. მისხალი; 18. ჩხეიძე; 20. აცტეკა; 22. მურვანიძე; 23. ჭყონდიდი; 24. სტეტსონი.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


11 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 3.0975


ევრო — 3.6420


დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0044


100 რუსული რუბლი — 4.0813

## ამინდის პროგნოზი 11 სექტემბრისათვის




## უცნობების მიერ ვეფხვივით შეღებილი ძაღლის გამო ცხოველთა დამცველები აღშფოთდნენ



მალაიზიაში უცნობმა პირებმა მაწანწალა ძაღლი ისე შეღებეს, რომ ვეფხვს დაამსგავსეს. მათმა ნამოქმედარმა ცხოველთა დამცველები აღაშფოთა. მათ ამის გამკეთებლების მოძებნა და დასჯა მოითხოვეს.

ერთ-ერთი ქალაქის ქუჩაში გამვლელებმა შენიშნეს ძაღლი, რომელიც ვეფხვივით იყო შეღებილი, ნარინჯისფრად, შავი ზოლებით. მათ ცხოველს ფოტოსურათი გადაუღეს და ადგილობრივ აქტივისტებს გაუგზავნეს.

ამასთან აღსანიშნავია, რომ აშკარად პროფესიონალების ნამუშევარი იყო, ვინაიდან ძაღლი რეალურ ვეფხვს იყო მიმსგავსებული. ცხოველთა დაცვის ასოციაციამ განაცხადა, რომ დააჯილდოვებს მას, ვინც ამ „მხატვრების“ პოვნასა და დასჯაში დაეხმარება. ასევე ცხოველსაც მოაძებნინებთ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ეკატერინე ანდრონიკაშვილი: „თეატრის შეზღუდვა არ მესმის“



მსახიობი ეკატერინე ანდრონიკაშვილი დარწმუნებულია, რომ თეატრებში კორონავირუსის გავრცელების ბევრად ნაკლები რისკია, ვიდრე კაფეში ან საზოგადოებრივ ტრანსპორტში:

– ყველაფერი მესმის და ზოგი შეზღუდვა აუცილებელია, ქორწილებისა და ქელეხების მასშტაბური გადახდის შეზღუდვასაც 100%-ით ვეთანხმები პანდემიის გარეშეც, მაგრამ ეს თეატრის შეზღუდვა არ მესმის რეალურად, ბევრად ნაკლები რისკია, ვიდრე კაფეში ან საზ. ტრანსპორტში, რადგან, რომ გინდოდეს, სახით სხვასთან მაინც ვერ იჯდები! ვერ შეასუნთქებ, ვერ შეაბოლებ, ვერ შეაცინებ და ვერ შეახველებ, რადგან ყველა სცენისკენ იყურება და წინ მხოლოდ კეფა გაქვს ადამიანების, აი ისე, როგორც ტაქსში მძღოლის უკან რომ ზიხარ! და მით უმეტეს, რეგულაციით, თუ სკამგამოშვებით ზის მაყურებელი, თანაც პირბადით, უანტრაქტო სპექტაკლზე, რა პრობლემაა? ავტობუსში მეტი რისკი არ არის? თუ ხელოვნება და სულიერება რაღაც კრიტერიუმებით ბოლო ადგილზეა? გეგონოთ თქვენ, იმიტომაც ვართ კარგად ერი!

## ნათია თოდუა ალბომის პრეზენტაციას გამართავს



გერმანული „ვოისის“ გამარჯვებული ქართველი მომღერალი ნათია თოდუა თბილისში ალბომის პრეზენტაციას გამართავს.

25 სექტემბერს ლისზე მომღერლის კონცერტი გაიმართება და ახალი ალბომის პრეზენტაციაც შედგება.

ნათია შეკრებილი მსმენელისთვის სპეციალურად შერჩეულ საკონცერტო პროგრამას იმღერებს და კონცერტს მისულ თითოეულ ადამიანს განსაკუთრებულ საღამოს ჰპირდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 11 სექტემბრისათვის



**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი მკვეთრად იზრდება. შესაფერისი დღეა მეგობრებთან შეხვედრისა და გართობისათვის. **კურო** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. აქცენტი მხოლოდ მთავარზე გააკეთეთ. **ტყუპები** – კომერციულ საქმიანობაში გიმართლებთ. ფინანსური მდგომარეობა უმჯობესდება. **კირჩხიბი** – ეცადეთ, გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. გარეგნულად ოპტიმისტური ჩანხართ, მაგრამ ეს მხოლოდ შირმაა. **ლომი** – რომანტიკული გრძნობების გამოვლენისას იფრთხილეთ. შესაძლოა, საპირისპირო სქესმა იმედი გაგიცრუოთ. **ქალწული** – ნუ დაწვრილმანდებით. მცირე შეცდომების გამო გული არ გაიტეხოთ. **სასწორი** – ინტიმურ სფეროში სიტუაცია არასტაბილურია. მძიმე წუთებში დახმარებისთვის მეგობრებს ან ნათესავებს მიმართეთ. **ღრიანკალი** – თქვენს ნიჭს მოულოდნელად სრულიად ახალ საქმეში წარმოაჩენთ. დღეს მხოლოდ ჯანსაღი საკვები მიიღეთ. **მშვილდოსანი** – შემოთავაზებული საქმიანი წინადადება ხელსაყრელი იქნება. მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** – დღის დევიზია სიდინჯე და თავშეკავება. ბევრი ლაპარაკით საქმეს გააფუჭებთ. **მერწყული** – დღეს რამდენიმე პრობლემა თავს ერთდროულად იჩენს, თუმცა თქვენი შორსმჭვრეტელობა და სიბრძნე მათ გადალახვაში დაგეხმარებათ. **თევზები** – სახიფათო დღეა. განსაკუთრებით გაუფრთხილდით ფინანსებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ქალი ექიმს ეუბნება:

– მას შემდეგ, რაც ჩემი ქმარი თქვენი საავადმყოფოდან სახლში დაბრუნდა, ჩემთან სექსის მიმართ ყოველგვარი ინტერესი დაკარგა...

– ქალბატონო, ჩვენ მას მხოლოდ მხედველობაზე ვუმკურნალეთ...

•••

გვიან ღამით სახლში დაბრუნებულ ქმარს ცოლი კართან ტაფით ხელში დახვდა. ქმარმა ცოლი შეათვალიერა და ეუბნება:

– წადი, დაიძინე, არ მშია!

•••

მანქანის მართვის მოწმობის გამოცდაზე გამომცდელი ქალს ეუბნება:

– შეგიძლიათ მანქანიდან გადახვიდეთ, გამოცდა ვერ ჩააბარეთ!

– კი მაგრამ, მე ხომ მანქანა ადგილიდან არც კი დამიძრავს!

– და ვერც დაძრავთ უკანა სავარძლიდან!

•••

თანამშრომელი დირექტორს ურეკავს და ეუბნება:

– ალო, ბატონო დირექტორო, დღეს სამსახურში ვერ მოვალ...

– რატომ?

– მანქანა გამიფუჭდა...

– რა პრობლემაა? ავტობუსით წამოდით.

– ავტობუსი არ მყავს...

•••

ცოლი სახლში დაბრუნებულ ქმარს ეკითხება:

– სად ეგდე?

– მეგობრის ქორწილში. ვერც კი წარმოიდგენ, ყველანი როგორ გამოთვრნენ!

– წარმომიდგენია... შემოდი და ეგ ფატა მოიძრე.

•••

კაცი ქალს ეუბნება:

– იცით, მე ცოლიანი ვარ!

– კარგით რა, დაკოდილი ხომ არ ხართ!

## მასტერი და კაბუ დუეტზე კლიპს იღებენ



ორი ქართველი რეპერი, მასტერი – გიორგი პავლიაშვილი და კაბუ – კახა აბუაშვილი დუეტზე კლიპს იღებენ.

ერთობლივი სიმღერა უკვე ჩაწერილია და ახლა ვიდეორგოლში მონაწილეობისთვის საჭირო ახალგაზრდების შერჩევა მიმდინარეობს.

როგორც მასტერი აცხადებს, ეს იქნება გამორჩეული ნამუშევარი მის შემოქმედებაში და, იმედი აქვს, რომ კაბუ და მისი ერთგული მსმენელები მათი ტანდემით კმაყოფილი დარჩებიან.

## ნატა გულიაშვილი მთავრობის შეზღუდვებს აპროტესტებს



მსახიობი და წამყვანი ნატა გულიაშვილი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ხელისუფლების მიერ დაწესებულ შეზღუდვებს ღონისძიებების აკრძალვასთან დაკავშირებით:

– 9 სექტემბერს რომ გვეუბნებიან, ხვალიდან ყველანაირი ღონისძიებები იკრძალებაო: ივენთები, ქორწილები, დაბადების დღეები, ქელეხები და ასე შემდეგ, ჩვენ რა ვქნათთთ? ვისაც უკვე დაგეგმილი გვქონდა და წინასწარ გვქონდა „ბე“ სახით ფული აღებული, ივენთებისთვის მოსამზადებლად? ჯერ მარტო სექტემბერში 3 გახსნა უნდა გამეკეთებინა, ორი კარაოკესი და ერთი – რესტორნის, ხოლო ოქტომბერში ორი ქორწილის ორგანიზატორი ვიყავი. ვინ აგვინაზღაურებს ამ დანახარჯს? ვინ აგვინაზღაურებს ამ ზარალს? ან იმ ჩანიშნულ კონცერტებს რა ვუყოთ, სამუდამოდ გადავდოთ?

## გრიბოედოვის თეატრი 175 წლისაა



2020 წელი გრიბოედოვის თეატრისთვის საიუბილეოა. თეატრს დაარსებიდან 175 წელი უსრულდება. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა ავთანდილ ვარსიმაშვილმა და დირექტორმა ნიკოლოზ სვენტიცკიმ დასის შეკრება გამართეს.

თვეების განმავლობაში კარანტინისა და იზოლირების შემდეგ გრიბოედოვის თეატრში დასის შეკრება ჯანდაცვის სამინისტროს ყველა რეკომენდაციის შესაბამისად ჩატარდა. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და დირექტორმა თეატრის თითოეულ თანამშრომელს მიულოცეს თეატრის იუბილე – გრიბოედოვის თეატრი ათ დღეში 175 წლის გახდება.

მათი თქმით, მალე განახლდება სარეპეტიციო პროცესი. თეატრის საიუბილეო წელს იგეგმება ორი საპრემიერო სპექტაკლი. მათზე მუშაობა დაწყებული იყო პანდემიამდე. რეჟისორი გიორგი მარგველაშვილი მუშაობდა გოგოლის „შეშლილის წერილებზე“, ხოლო რეჟისორი ნიკა ჩიკვაიძე – ბულგაკოვის „ივან ვასილევიჩზე“.

როგორც შეკრებაზე გახდა ცნობილი, ახლო მომავალში თეატრი გეგმავს მუშაობის დაწყებას ახალ დადგმაზე და ეს საახალწლო ზღაპარი-მიუზიკლი იქნება.

თეატრების გახსნის თარიღი საქართველოში 1 ნოემბრამდე გადაიდო. გრიბოედოვის თეატრში აცხადებენ, რომ ამ დღეს სრული შემოქმედებითი მზადყოფნით შეხვდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ქალმა კლინიკური სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთში მოგზაურობაზე ისაუბრა

ქალმა კლინიკური სიკვდილის დროს განცდილ შეგრძნებებზე ისაუბრა, რომელიც ნარკოტიკების გადამეტებული დოზის მიღებამ გამოიწვია.

ქალმა სახელად ფრანსინმა განაცხადა, რომ ჯოჯოხეთში იმოგზაურა. ამის შესახებ მან კლინიკური სიკვდილის გადატანის შემდეგ გარდაცვალების შემდგომი კვლევების ფონდთან ისაუბრა.

– საკუთარი სხეულის თავზე დავფრინავდი და ვუყურებდი, თუ როგორ ცდილობდნენ ექიმები ჩემთვის სიცოცხლის დაბრუნებას. მოულოდნელად გარს საშინელი არსებები შემომეხვივნენ, რომლებსაც მე ბნელეთის ანგელოზებად მოვიხსენიებ. ისინი იძახოდნენ: „სინათლიდან ბნელეთში“. კიდევ რაღაცას ამბობდნენ, მაგრამ აღარ მახსოვს, – განაცხადა ფრანსინმა. მისი თქმით, ეს არსებები მას ნაწილ-ნაწილ ფლეთდნენ.

– ჩვენ დავფრინავდით საავადმყოფოს დარბაზებსა და სახურავზე. შემდეგ ჯოჯოხეთში აღმოვჩნდი და ზურგზე ვიწექი. მესმოდა სხვა სულების ყვირილის ხმა და მათი ტკივილი. ბოროტი არსება მკითხავდა და ეს საუკუნედ მეჩვენებოდა. მას სურდა გაეგო, თუ რისი მწამდა და ვის ვეთაყვანებოდი, – აღიარა ქალმა.

ფრანსინმა განმარტა, რომ მას თავიდან ძალიან ეშინოდა, მაგრამ შემდეგ დემონებს აღარ ემორჩილებოდა და ისინი უკან დაბრუნებაზე დაითანხმა.

– მე მათ ვუთხარი, რომ იესო მწამდა და არ ვფიქრობდი, რომ ის მე ტკივილს მომაყენებდა. შემდეგ ჩემთვის მოულოდნელად ჯოჯოხეთი დავტოვე, – განაცხადა ქალმა.

ამის შემდეგ ბნელეთის არსებებმა ქალს მის მიერ ცხოვრებაში გავლილი გზა აჩვენეს და დაშვებულ შეცდომებზე მიანიშნეს.

– ეს ჩვენება ისეთი დეტალური იყო, რომ მათ ის მომენტებიც კი მაჩვენეს, როდესაც ვინმეს ალმაცერად ვუყურებდი. მაჩვენეს, თუ როგორ ტკივილს ანიჭებდა ჩემი საქციელი სხვა ადამიანებს და მივხვდი, რომ უფრო მეტად უნდა გავფრთხილებოდი სხვა ადამიანებს, – განმარტა კლინიკურ სიკვდილს გადარჩენილმა ქალმა.

ფინალში ქალმა თავი დედის საშოში ამოჰყო.

– დიდ სიმშვიდეს განვიცდიდი, სანამ არ დავიბადე. გამახსენეს კაცობრიობის ბოროტება, როდესაც ექიმმა, რომელმაც ჩემი მშობიარობა მიიღო, გაიფიქრა: „აი, კიდევ ერთი პატარა მეძავი“. ეს გავიგონე და ძალიან დამწყდა გული. ამის შემდეგ ათასჯერ დავიბადე, ვიცხოვრე, მოვკვდი და ავღორძინდი. ეს უსასრულობა ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო და მისი დასრულება მსურდა, განაცხადა ფრანსინმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. საქართველოს პრემიერ-მინისტრი; 2. რომელიმე სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვა; 3. შენობის სახურავად გამოყენებული გამომწვარი თიხის ფირფიტა; 5. მიუნხენში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ლუდის ბარი; 7. ესპანელი ფერმწერი; 9. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის დარგი; 13. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 15. აეროპორტი კაიროში; 16. ეგვიპტის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ფეხბურთელი; 18. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი.

**თარაზულად**: 4. რბილი, ტყავისძირიანი ქართველ მამაკაცთა ძველებური ფეხსაცმელი; 6. მთავრობის მეთაური გერმანიაში; 8. კონგრესის შენობა ვაშინგტონში; 10. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 11. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი ფილმის მუსიკის ავტორი; 12. მხარე ავსტრიაში; 14. ინგლისური იუმორისტული ჟურნალი; 17. მოქანდაკის ხის საჭრეთელი; 19. სამრეწველო ცენტრების, დიდი ქალაქების ცაზე დაგროვილი მუქი ნისლი; 20. ცოცხლად მშობელი თევზი; 21. ბერძნული ანბანის პირველი ასო; 22. ფრანგული ალუბლის ლიქიორი; 23. დაბალი რანგის დიპლომატი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

